# ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 1

# *ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*

## მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტი განსაზღვრავს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველს, რაც უზრუნველყოფს როგორც ცალკეული საწარმოს წინა წლების ფინანსური ანგარიშგების, ასევე სხვადასხვა საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შესადარისობას. სტანდარტში განხილულია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ზოგადი მოთხოვნები, მეთოდური მითითებები ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურისა და შინაარსის მინიმალური მოთხოვნების შესახებ.

## მოქმედების სფერო

2. **საწარმომ წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად და წარსადგენად, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.**

3. სხვა ფასს სტანდარტები განსაზღვრავს ცალკეული სამეურნეო ოპერაციებისა და სხვა მოვლენების აღიარების, შეფასებისა და განმარტებითი შენიშვნებისთვის მოთხოვნებს.

4. წინამდებარე სტანდარტი არ გამოიყენება შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურისა და შინაარსის მიმართ, რომელიც მომზადებულია ბასს 34-ის - *„შუალედური ფინანსური ანგარიშგება“* - შესაბამისად. თუმცა, 15-35-ე პუნქტები სწორედ ამგვარ ფინანსურ ანგარიშგებებს ეხება. სტანდარტი განკუთვნილია ყველა საწარმოსთვის, მათ შორის, საწარმოებისთვის, რომლებიც წარადგენენ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებას ფასს 10-ის - *„კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“* - შესაბამისად და ასევე რომლებიც წარადგენენ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას ბასს 27-ის - *„ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“* - შესაბამისად.

5. წინამდებარე სტანდარტში გამოყენებული ტერმინოლოგია მისაღებია იმ საწარმოთათვის, რომელთა საქმიანობის მიზანი მოგების მიღებაა, მათ შორის სახელმწიფო სექტორის საწარმოთათვის. როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორის არაკომერციულ საწარმოებს, რომლებიც აღნიშნულ სტანდარტს გამოიყენებენ, შესაძლოა დასჭირდეთ განმარტებითი ინფორმაციის დამატება ფინანსური ანგარიშგების გარკვეული მუხლების ან თვით ფინანსური ანგარიშგების შესახებ.

6. ანალოგიურად, საწარმოებს, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი კაპიტალი, როგორც ეს განმარტებულია ბასს 32-ში - *„ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“* (მაგ., ზოგიერთი ერთობლივი ფონდი) და საწარმოებს, რომელთა სააქციო კაპიტალი არ წარმოადგენს საკუთარ კაპიტალს (მაგ., ზოგიერთი კოოპერაციული საწარმო), შესაძლოა დასჭირდეთ ფინანსური ანგარიშგების მისადაგება წევრების ან მეპაიეების ინტერესებთან.

## განმარტებები

7. **წინამდებარე სტანდარტში ტერმინები გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით:**

***საალრიცხვო პოლიტიკა** განმარტებულია ბასს 8-ის – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ – მე-5 პუნქტში და წინამდებარე სტანდარტშიც იმავე მნიშვნელობით გამოიყენება.*

***საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება** (ე.წ. „ფინანსური ანგარიშგება“) არის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც განკუთვნილია იმ მომხმარებელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომლებსაც მდგომარეობა არ აძლევს იმის საშუალებას, რომ საწარმოს*

მოსთხოვონ მათ საკუთარ საინფორმაციო მოთხოვნილებებზე მორგებული ანგარიშების მომზადება.

*შეუძლებელი* - მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია მაშინ, როდესაც საწარმოს არ შეუძლია მისი დაკმაყოფილება ყველა გონივრული მცდელობის მიუხედავად.

*ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს სტანდარტები)* არის სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ. მოიცავს:

ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს;

ბ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს;

გ) ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოცემულ ინტერპრეტაციებს; და

დ) ინტერპრეტაციების მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ გამოცემულ ინტერპრეტაციებს[1].

**არსებითი:**

**ინფორმაცია არსებითია, თუ გონივრულ ფარგლებში შეიძლება მოსალოდნელი იყოს, რომ მისი გამოტოვება, არასწორად ან ბუნდოვნად წარდგენა გავლენას მოახდენს გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ იმ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც შეიცავს ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტული ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ.**

არსებითობა დამოკიდებულია ინფორმაციის ბუნებაზე ან რაოდენობრივ მნიშვნელობაზე, ან ორივე ფაქტორზე ერთად. საწარმო აფასებს, ესა თუ ის ინფორმაცია, ინდივიდუალურად ან სხვა ინფორმაციასთან ერთად, არსებითია თუ არა მთლიანად მისი ფინანსური ანგარიშგების კონტექსტში.

ინფორმაცია ბუნდოვანია, თუ მისი ინფორმირება იმგვარად ხდება, რომ ფინანსური ანგარიშგების ძირითად მომხმარებლებზე ისეთივე გავლენას იქონიებს, როგორსაც ამ ინფორმაციის გამოტოვება ან არასწორად წარდგენა. შემდეგი მაგალითები ეხება გარემოებებს, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ინფორმაცია ბუნდოვანი გახადოს:

ა) ინფორმაცია არსებითი მუხლის, ოპერაციის ან სხვა მოვლენის შესახებ გამჟღავნებულია ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ გამოყენებული ენა/გადმოცემის სტილი გაურკვეველი ან გაუგებარია;

ბ) ინფორმაცია არსებითი მუხლის, ოპერაციის ან სხვა მოვლენის შესახებ გაფანტულია მთელ ფინანსურ ანგარიშგებაში;

გ) მიზანშეუწონლად აგრეგირებულია განსხვავებული მუხლები, ოპერაციები ან სხვა მოვლენები;

დ) მიზანშეუწონლად დეზაგრეგირებულია მსგავსი მუხლები, ოპერაციები ან სხვა მოვლენები; და

ე) ფინანსური ანგარიშგების აღქმადობა გაუარესებულია, ვინაიდან არსებითი ინფორმაცია იმ დონეზეა დაფარული არაარსებითი ინფორმაციით, რომ ძირითადი მომხმარებელი ვერ შეძლებს არსებითი ინფორმაციის გამორჩევას.

იმის შესაფასებლად, გონივრულ ფარგლებში შეიძლება მოსალოდნელი იყოს თუ არა, რომ ეს ინფორმაცია გავლენას მოახდენს კონკრეტული ანგარიშვალდებული საწარმოს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, აუცილებელია, საწარმომ, თავის კონკრეტულ გარემოებებთან ერთად, გაითვალისწინოს ამ მომხმარებელთა მახასიათებლები.

[1] სტანდარტების განმარტება შეიცვალა მას შემდეგ, რაც ცვლილებები შევიდა ფასს სტანდარტების ფონდის წესდებაში 2010 წელს.


© IFRS Foundation

ბევრ არსებულ და პოტენციურ ინვესტორს, გამსესხებელსა და სხვა კრედიტორებს არ შეუძლიათ, ანგარიშვალდებულ საწარმოებს მოსთხოვონ ინფორმაციის მიწოდება უშუალოდ მათთვის და ისინი უნდა დაეყრდნონ საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას მათთვის საჭირო ინფორმაციის დიდი ნაწილის მისაღებად. შესაბამისად, სწორედ ისინი არიან ძირითადი მომხმარებლები, რომლებზეც ორიენტირებულია საერთო დანიშნულების ფინან-სური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება მზადდება იმ მომხმარებლებისთვის, რომლებსაც კომერციული და ეკონომიკური საქმიანობის შესაფერისი ცოდნა გააჩნიათ და გულდასმით იხილავენ და აანალიზებენ ამ ინფორმაციას. თუმცა, ზოგჯერ, კარგად ინფორმირებულ და მონდომებულ მომხმარებლებსაც კი შეიძლება დასჭირდეთ კონსულტანტის დახმარება რთული ეკონომიკური მოვლენების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის გასაგებად.

**_განმარტებითი შენიშვნები_ მოიცავს დამატებით ინფორმაციას, გარდა ფინანსური მდგო-მარეობის ანგარიშგებაში, სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ან-გარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციისა. განმარტებით შენიშვნებში მოცემულია ამ ანგარიშგებებში წარმოდგენილი მუხლების სიტყვიერი დახასიათება, ან მათ შესახებ დეტალიზებული მონაცემები, ასევე ინფორმაცია იმ მუხლების შესახებ, რომლებიც არ აკმაყო-ფილებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების კრიტერიუმებს.**

**_სხვა სრული შემოსავალი_ შედგება შემოსავლებისა და ხარჯების იმ ელემენტებისაგან (მათ შორის, რეკლასიფიკაციით გამოწვეული კორექტირებებისგან), რომლებიც აღიარებული არ არის მოგებაში ან ზარალში, როგორც მოითხოვება ან დაშვებულია სხვა ფასს სტანდარტებით.**

სხვა სრული შემოსავალი შედგება შემდეგი ელემენტებისგან:

ა) გადაფასების ნამეტის ცვლილებები (იხ. ბასს 16 - *„ძირითადი საშუალებები“* და ბასს 38 - *„არამატერიალური აქტივები“);*

ბ) დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამების გადაფასებული თანხები (იხ. ბასს 19 – *„დასაქმებულთა გასამრჯელოები“*);

გ) უცხოური ქვედანაყოფის ფინანსური ანგარიშგების წარსადგენ ვალუტაში გადაყვანით წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი (იხ. ბასს 21 - *„უცხოური ვალუტის კურსის ცვლი-ლებებით გამოწვეული შედეგები“);*

დ) წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციებიდან წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი, რომელიც ფასს 9-ის - *„ფინანსური ინსტრუმენტები“* - 5.7.5 პუნქტის შესაბამისად შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით;

და) იმ ფინანსური აქტივებიდან წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი, რომელიც ფასს 9-ის 4.1.2ა პუნქტის შესაბამისად შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემო-სავალში ასახვით;

ე) ჰეჯირების ინსტრუმენტების შემოსულობისა და ზარალის ეფექტური ნაწილი ფულადი ნაკადების ჰეჯირებისას და ჰეჯირების ინსტრუმენტების შემოსულობა და ზარალი ისეთი წილობრივი ინსტრუმენტების ჰეჯირებისას, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფასს 9-ის 5.7.5 პუნქტის შესაბამისად (იხ. ფასს 9-ის მე-6 თავი);

ვ) ზოგიერთი ვალდებულებისთვის, რომლებიც საწარმოს კლასიფიცირებული აქვს, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით - სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილების თანხა, რომელიც განეკუთვნება ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას (იხ. ფასს 9-ის 5.7.7 პუნქტი);

ზ) ოფციონების დროით ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები, როდესაც ოფციონის ხელშეკრულების საკუთარი ღირებულება და დროითი ღირებულება განცალკევდება და ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირდება მხოლოდ საკუთარი ღირებულების ცვლილება (იხ. ფასს 9-ის მე-6 თავი);

თ) ფორვარდული ხელშეკრულებების ფორვარდულ ელემენტებში მომხდარი ცვლილებები, როდესაც ფორვარდული ხელშეკრულების ფორვარდული ელემენტი და სპოტ ელემენტი განცალკევდება და ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირება მხოლოდ სპოტ ელემენტის ცვლილებები, ასევე ფინანსური ინსტრუმენტის უცხოური ვალუტის საბაზისო სპრედის ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები, როდესაც ის გამოცალკევდება ფინანსური ინსტრუმენტიდან და ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირდება ფინანსური ინსტრუმენტის დანარჩენი ნაწილი (იხ. ფასს 9-ის მე-6 თავი).

ი) ფასს 17-ის – *„სადაზღვევო ხელშეკრულებები“* – მოქმედების სფეროში მყოფი, საწარმოს მიერ გამოშვებული ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი და ხარჯები, რომლებიც არ გაითვალისწინება მოგების ან ზარალის შემადგენლობაში იმ შემთხვევაში, როდესაც სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის და ხარჯების მთლიანი ოდენობა დეზაგრეგირდება, რათა მოგებაში ან ზარალში აისახოს ის თანხა, რომელიც განისაზღვრა სისტემატური განაწილების შედეგად ფასს 17-ის 88(ბ) პუნქტის შესაბამისად, ან თანხა, რომელიც აღმოფხვრის სააღრიცხვო შეუსაბამობებს იმ ფინანსურ შემოსავალთან ან ხარჯებთან, რომელიც წარმოიშობა საწარმოს საბაზისო აქტივებთან დაკავშირებით, ფასს 17-ის 89 (ბ) პუნქტის შესაბამისად; და

კ) ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ფინანსური შემოსავალი და ხარჯები, რომლებიც არ გაითვალისწინება მოგების ან ზარალის შემადგენლობაში, როდესაც გადაზღვევის ფინანსური შემოსავლის ან ხარჯების მთლიანი ოდენობა დეზაგრეგირდება, რათა მოგებაში ან ზარალში აისახოს ის თანხა, რომელიც განისაზღვრა სისტემატური განაწილების შედეგად ფასს 17-ის 88(ბ) პუნქტის შესაბამისად.

***მესაკუთრეები*** **არიან საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების მფლობელები.**

***მოგება ან ზარალი*** **არის შემოსავლების ჯამს გამოკლებული ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გარეშე.**

***რეკლასიფიკაციის კორექტირებები*** **არის თანხები, რომლებიც ახალი კლასიფიკაციით მიმდინარე პერიოდში გადატანილია მოგებაში ან ზარალში და მანამდე, მიმდინარე ან წინა პერიოდებში, აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში.**

***მთლიანი სრული შემოსავალი*** **არის პერიოდის მანძილზე სამეურნეო ოპერაციებითა და სხვა მოვლენებით განპირობებული საკუთარი კაპიტალის ცვლილება, იმ ცვლილებების გარდა, რომლებიც გამოწვეულია მესაკუთრეებთან, როგორც აქციონერებთან შესრულებული ოპერაციებით.**

მთლიანი სრული შემოსავალი მოიცავს „მოგების ან ზარალის“ და „სხვა სრული შემოსავალი“ მუხლების ყველა კომპონენტს.

8. მართალია, ამ სტანდარტში გამოიყენება ტერმინები „სხვა სრული შემოსავალი“, „მოგება ან ზარალი“ და „მთლიანი სრული შემოსავალი“, მაგრამ საწარმოს ჯამური მუხლების აღსანიშნავად შეუძლია სხვა ტერმინების გამოყენება, თუ მათი შინაარსი ნათელი იქნება. მაგალითად, საწარმოს მოგების ან ზარალის აღსანიშნავად შეუძლია ტერმინის „წმინდა შემოსავალი“ გამოყენება.

8ა. შემდეგი ტერმინები განმარტებულია ბასს 32-ში - *„ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“ და* ამ სტანდარტშიც იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, რომელიც მინიჭებული აქვს ბასს 32-ში:

ა) დაბრუნებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად (აღწერილია ბასს 32-ის 16(ა) და 16(ბ) პუნქტებში);

ბ) ინსტრუმენტი, რომელიც საწარმოს აკისრებს ვალდებულებას, მხოლოდ ლიკვიდაციის შემთხვევაში სხვა მხარეს გადასცეს წმინდა აქტივების პროპორციული წილი და კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად (აღწერილია ბასს 32-ის 16(გ) და 16(დ) პუნქტებში);

 © IFRS Foundation

## ფინანსური ანგარიშგება

### ფინანსური ანგარიშგების მიზანი

9. ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. ფინანსური ანგარიშგების მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების შესახებ ისეთი ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც გამოადგება მომხმარებელთა ფართო წრეებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. ფინანსური ანგარიშგება ასევე გვიჩვენებს საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მათთვის მინდობილი რესურსების მართვის შედეგებს. ამ მიზნით, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) საწარმოს აქტივები;

ბ) საწარმოს ვალდებულებები;

გ) საკუთარი კაპიტალი;

დ) შემოსავლები და ხარჯები, მათ შორის, შემოსულობები და დანაკარგები;

ე) მესაკუთრეთა შენატანები საკუთარ კაპიტალში და მესაკუთრეებზე, როგორც აქციების მფლობელებზე, განხორციელებული განაწილებები; და

ვ) საწარმოს ფულადი ნაკადები.

ეს ინფორმაცია, ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში მოცემულ ინფორმაციასთან ერთად, მომხმარებელს საშუალებას აძლევს, წინასწარ განჭვრიტოს საწარმოს ფულადი ნაკადები, კერძოდ მათი რეალურობა და მოძრაობის დრო.

### ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი

10. **ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:**

**ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის;**

**ბ) პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას;**

**გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას;**

**დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას;**

**ე) განმარტებით შენიშვნებს, სადაც აისახება არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ და სხვა განმარტებითი ინფორმაცია;**

**ეა) წინა პერიოდის შესადარის ინფორმაციას, როგორც ეს განსაზღვრულია 38-ე და 38ა პუნქტებში; და**

**ვ) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას წინა პერიოდის დაწყების თარიღის მდგომარეობით, როდესაც ის სააღრიცხვო პოლიტიკას იყენებს რეტროსპექტულად, ან ფინანსური ანგარიშგების მუხლებს გადაიანგარიშებს რეტროსპექტულად, ან როდესაც საწარმო ცვლის ფინანსური ანგარიშგების მუხლების კლასიფიკაციას 40ა-40დ პუნქტების შესაბამისად.**

**საწარმოს შეუძლია არ გამოიყენოს ამ სტანდარტში გამოყენებული სახელწოდებები ზემოთ ჩამოთვლილი ანგარიშგებებისთვის. მაგალითად, საწარმოს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება“ ტერმინის ნაცვლად შეუძლია გამოიყენოს სახელწოდება „სრული შემოსავლის ანგარიშგება“.**

10ა. საწარმოს უფლება აქვს, წარადგინოს ერთი, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება, სადაც მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავალი წარდგენილი იქნება ორ განყოფილებაში. ეს განყოფილებები ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი: ჯერ მოგებისა და ზარალის განყოფილება და ზუსტად მის შემდეგ - სხვა სრული შემოსავლის განყოფილება. საწარმოს უფლება აქვს, მოგება ან ზარალი წარმოადგინოს განცალკევებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. თუ ასეა, მოგებისა და ზარალის ანგარიშგება უშუალოდ წინ უნდა

**უსწრებდეს ანგარიშგებას, სადაც წარმოდგენილია სრული შემოსავალი და უნდა იწყებოდეს მოგებით, ან ზარალით.**

11. **საწარმომ ყველა ფინანსური ანგარიშგება ერთნაირი პასუხისმგებლობით უნდა წარადგინოს ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში.**

12. [გაუქმებულია]

13. მრავალი საწარმო, ფინანსური ანგარიშგების გარდა, წარადგენს ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ფინანსურ მიმოხილვას, რომელშიც აღწერილი და ახსნილია საწარმოს საქმიანობის ფინანსური ეფექტისა და ფინანსური მდგომარეობის ძირითადი საკითხები, აგრეთვე ძირითადი განუსაზღვრელობები, რასაც ადგილი ჰქონდა საწარმოს საქმიანობის პროცესში. ამგვარ მიმოხილვაში შეიძლება აისახოს:

    ა) ფინანსური შედეგების განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორები და პირობები, მათ შორის საწარმოს საქმიანობის გარემო პირობებში მომხდარი ცვლილებები, საწარმოს რეაგირება ამ ცვლილებებზე და მათი შედეგები, ასევე ინვესტიციების შენარჩუნებისა და ეფექტიანობის ამაღლების პოლიტიკა, დივიდენდების პოლიტიკის ჩათვლით;

    ბ) საწარმოს დაფინანსების წყაროები და ვალდებულებების საკუთარ კაპიტალთან ფარდობის მისთვის სასურველი (საწარმოს მიერ დასახული) კოეფიციენტი; და

    გ) საწარმოს რესურსები, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

14. მრავალი საწარმო, ფინანსური ანგარიშგების გარდა, სხვა სახის ანგარიშებსაც წარადგენს, მაგალითად, ანგარიში გარემოს დაცვის საკითხებზე და ანგარიშგება დამატებული ღირებულების შესახებ, განსაკუთრებით იმ დარგებში, სადაც გარემოს ფაქტორი არსებითია, ან მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საწარმოში დასაქმებულები არიან. ფინანსური ანგარიშგების გარდა, სხვა წარდგენილი ანგარიშები და ანგარიშგებები სცდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოქმედების სფეროს.

## ზოგადი მიმოხილვა

### სამართლიანი წარდგენა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა

15. **ფინანსურმა ანგარიშგებამ სამართლიანად უნდა წარმოადგინოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგები და ფულადი ნაკადები. სამართლიანი წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების კეთილსინდისიერად ასახვას, აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებებისა და აღიარების კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრულია *ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში (კონცეპტუალური საფუძვლები)*. იგულისხმება, რომ ფასს სტანდარტების გამოყენებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით განმარტებებთან ერთად, აკმაყოფილებს სამართლიანი წარდგენის კრიტერიუმებს.**

16. **საწარმომ, რომლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს სტანდარტების შესაბამისად, ნათლად და უპირობოდ უნდა განაცხადოს ამის შესახებ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებას არ უნდა უწოდოს ფასს სტანდარტების შესაბამისი, თუ იგი არ შეესაბამება ფასს სტანდარტების ყველა მოთხოვნას.**

17. სათანადო ფასს სტანდარტთან შესაბამისობით, ფაქტობრივად, ნებისმიერ შემთხვევაში მიიღწევა ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენა. სამართლიანი წარდგენა ასევე მოითხოვს, რომ საწარმომ:

    ა) შეარჩიოს და გამოიყენოს სააღრიცხვო პოლიტიკა ბასს 8-ის - „*სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები*“ - შესაბამისად; ბასს 8-ში იერარქიულად არის მოცემული ყველა ოფიციალური მითითება, რომელსაც ხელმძღვანელობა განიხილავს რომელიმე მუხლთან დაკავშირებული ფასს სტანდარტის არარსებობის შემთხვევაში;


© IFRS Foundation

ბ) ინფორმაცია იმდაგვარად წარადგინოს (მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ), რომ უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის შესაბამისობა, საიმედოობა, შესადარისობა და აღქმადობა;

გ) უზრუნველყოს დამატებითი განმარტებითი ინფორმაციის მიწოდება, როდესაც ფასს სტანდარტების კონკრეტული მოთხოვნები საკმარისი არ არის იმისათვის, რომ მომხმარებელმა აღიქვას ცალკეული ოპერაციების, სხვა მოვლენებისა თუ პირობების გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე.

**18.** **არასათანადოდ შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკით გამოწვეული შეცდომების გასწორება არ შეიძლება გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნების ან სხვა განმარტებითი მასალის საშუალებით.**

**19.** **უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს ხელმძღვანელობა დაასკვნის, რომ რომელიმე სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა ეწინააღმდეგება *კონცეპტუალურ საფუძვლებში* განსაზღვრულ ფინანსური ანგარიშგების მიზანს, საწარმომ ამ კონკრეტული მოთხოვნიდან უნდა გადაუხვიოს მე-20 პუნქტში დადგენილი წესის შესაბამისად, თუ შესაბამისი მარეგულირებელი ბაზა მოითხოვს ან არ კრძალავს ასეთ გადახვევას.**

**20.** **როდესაც საწარმო, მე-19 პუნქტის შესაბამისად, გადაუხვევს რომელიმე ფასს სტანდარტის მოთხოვნებიდან, მან შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:**

**ა) ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას;**

**ბ) ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ყველა სათანადო ფასს სტანდარტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლიანი წარდგენის უზრუნველსაყოფად მან გადაუხვია კონკრეტული მოთხოვნიდან;**

**გ) იმ ფასს სტანდარტის სახელწოდება, რომლის მოთხოვნებიდანაც საწარმომ გადაუხვია, ამ გადახვევის არსი, რაც, თავის მხრივ, უნდა მოიცავდეს ამ სტანდარტის მიერ მოთხოვნილი მიდგომის აღწერას, მიზეზის ახსნას, თუ რატომ არ აკმაყოფილებს და ეწინააღმდეგება ეს მიდგომა მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში *კონცეპტუალურ საფუძვლებში* განსაზღვრულ ფინანსური ანგარიშგების მიზანს და ასევე მიდგომა, რომელიც გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში; და**

**დ) ყოველი წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდისათვის ფასს სტანდარტის მოთხოვნებიდან ამგვარი გადახვევის ფინანსური ეფექტი ფინანსური ანგარიშგების თითოეული მუხლის მიხედვით, რომელიც წარდგენილი იქნებოდა სტანდარტის მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში.**

**21.** **თუ საწარმომ რომელიმე სტანდარტის მოთხოვნას გადაუხვია გასულ პერიოდში და ეს გადახვევა გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებზე, განმარტებით შენიშვნებში უნდა გაკეთდეს განმარტებები მე-20 (გ) და (დ) პუნქტების შესაბამისად.**

22. მაგალითად, 21-ე პუნქტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა საწარმომ რომელიმე წინა პერიოდში გადაუხვია ამა თუ იმ სტანდარტის მოთხოვნას აქტივების ან ვალდებულებების შეფასების დროს და ეს გადახვევა გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარი ცვლილების შეფასებაზე.

**23.** **უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს ხელმძღვანელობა დაასკვნის, რომ ამა თუ იმ სტანდარტის მოთხოვნასთან შესაბამისობა ეწინააღმდეგება *კონცეპტუალურ საფუძვლებში* განსაზღვრულ ფინანსური ანგარიშგების მიზანს, მაგრამ შესაფერისი მარეგულირებელი ბაზა კრძალავს ამ მოთხოვნიდან გადახვევას, საწარმო ვალდებულია, ყველა ღონე იხმაროს, რათა შეამციროს ამგვარი შეუსაბამობის მცდარად აღქმის შესაძლებლობა და განმარტებით შენიშვნებში აღნიშნოს:**

**ა) ამ სტანდარტის სახელწოდება, მისი მოთხოვნის არსი და მიზეზი, რის გამოც ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ამ მოთხოვნის შესრულება მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში შეცდომაში შეიყვანდა მომხმარებელს და ეწინააღმდეგება *კონცეპტუალურ საფუძვლებში* განსაზღვრულ ფინანსური ანგარიშგების მიზანს; და**

**ბ) ყოველი წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდისათვის ფინანსური ანგარიშგების თითოეული მუხლის კორექტირება, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მისაღწევად.**

24. 19-23-ე პუნქტების მიზნებისათვის, ინფორმაციის რომელიმე მუხლი ეწინააღმდეგება ფინანსური ანგარიშგების მიზანს, თუ ის სამართლიანად არ ასახავს სამეურნეო ოპერაციებს, სხვა მოვლენებსა და პირობებს, რომლის წარმოდგენასაც მიზნად ისახავს, ან რომელსაც უნდა წარმოადგენდეს გონივრულობის ფარგლებში და ამიტომ, სავარაუდოდ, გავლენას მოახდენს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. იმის დასადგენად, ამა თუ იმ სტანდარტის რომელიმე მოთხოვნის შესრულება ეწინააღმდეგება თუ არა *კონცეპტუალურ საფუძვლებში* განსაზღვრულ ფინანსური ანგარიშგების მიზანს, ხელმძღვანელობამ უნდა განიხილოს:

ა) რატომ ვერ მიიღწევა ფინანსური ანგარიშგების მიზანი ამ კონკრეტულ სიტუაციაში; და

ბ) რითი განსხვავდება ამ საწარმოს კონკრეტული პირობები სხვა საწარმოთა პირობებისაგან, რომლებიც იცავენ ამ მოთხოვნას. თუ ანალოგიურ პირობებში მყოფი სხვა საწარმოები ასრულებენ ამ მოთხოვნას, არსებობს უარყოფადი ვარაუდი იმისა, რომ მოცემული საწარმოს მიერ აღნიშნული მოთხოვნის შესრულება შეცდომაში არ შეიყვანს მომხმარებელს და წინააღმდეგობაში არ მოვა *კონცეპტუალურ საფუძვლებში* განსაზღვრულ ფინანსური ანგარიშგების მიზანთან.

### ფუნქციონირებადი საწარმო

**25. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, აქვს თუ არა საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს. ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმოს ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არა აქვს რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. თუ შეფასების დროს საწარმოს ხელმძღვანელობისთვის ცნობილია მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს საწარმოს შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მან განმარტებით შენიშვნებში უნდა ახსნას ეს არსებითი განუსაზღვრელობები. თუ ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არ არის ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, საწარმომ შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და საფუძველი, რის მიხედვითაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება. ასევე მითითებული უნდა იყოს მიზეზი, რის გამოც საწარმო არ შეიძლება ჩაითვალოს ფუნქციონირებად საწარმოდ.**

26. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების მართებულობის შეფასებისას, საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ხელმისაწვდომ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან სულ მცირე თორმეტ თვეს მაინც, მაგრამ შეზღუდული არ არის ამ ვადით. აღნიშნული ფაქტების განხილვის ხარისხი დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე. თუ საწარმო წარსულში მოგებიანი იყო და ფინანსური რესურსები მისთვის ხელმისაწვდომია, დასკვნა იმის შესახებ, რომ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენება მართებულია, შესაძლოა მომზადდეს დეტალური ანალიზის გარეშე. სხვა შემთხვევაში, საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენება მართებულად რომ ჩაითვალოს, საწარმოს ხელმძღვანელობას შეიძლება მთელი რიგი ფაქტორების განხილვა დასჭირდეს, რომლებიც დაკავშირებული იქნება საწარმოს მიმდინარე და მოსალოდნელ მოგებიანობასთან, ვალების დაფარვის გრაფიკებთან და დაფინანსების შესაძლო წყაროებთან.

### დარიცხვის მეთოდი

**27. საწარმოს ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა.**

28. ბუღალტრულ აღრიცხვაში დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების (ფინანსური ანგარიშგების ელემენტები) აღიარება ხდება მაშინ,


© IFRS Foundation

როცა ისინი დააკმაყოფილებენ *კონცეპტუალურ საფუძვლებში* მოცემულ განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს.

### არსებითობა და აგრეგირება

**29. ყველა არსებითი მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ უნდა იქნეს განცალკევებით. არაარსებითი თანხები უნდა გაერთიანდეს ფუნქციების ან შინაარსის ერთგვაროვნების მიხედვით და საჭირო არ არის მათი ცალ-ცალკე წარდგენა.**

30. ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება დიდი რაოდენობის სამეურნეო ოპერაციებისა და სხვა მოვლენების დამუშავების რაოდენობრივი შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია შინაარსის ან ფუნქციების მიხედვით. მონაცემთა აგრეგირებისა და კლასიფიცირების საბოლოო სტადიას წარმოადგენს დაჯგუფებული და კლასიფიცირებული მონაცემების წარდგენა, რომლებიც წარმოქმნიან უშუალოდ ფინანსური ანგარიშგების მუხლებს. თუ ცალკე აღებული რომელიმე მუხლი არაა არსებითი, იგი აგრეგირდება სხვა მუხლებთან და აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში ან მის განმარტებით შენიშვნებში. ნაკლებად არსებითი მუხლი, რომლის ცალკე მუხლად ასახვა არ მოითხოვება უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაძლოა იმდენად არსებითი შინაარსის მქონე იყოს, რომ განმარტებით შენიშვნებში იმსახურებდეს ცალკე წარმოდგენას.

30ა. წინამდებარე და სხვა ფასს სტანდარტების გამოყენებისას საწარმომ ყველა შესაფერისი ფაქტისა და გარემოების გათვალისწინებით უნდა გადაწყვიტოს, როგორ განახორციელებს ინფორმაციის აგრეგირებას ფინანსურ ანგარიშგებაში, მათ შორის შენიშვნებში. საწარმომ არ უნდა შეასუსტოს ფინანსური ანგარიშგების აღქმადობა იმით, რომ არსებითი ინფორმაცია გაუგებარი გახადოს არაარსებითი ინფორმაციის ჩართვით, ან ხასიათით ან ფუნქციებით განსხვავებული ინფორმაციის აგრეგირებით.

31. ზოგიერთი ფასს სტანდარტი განსაზღვრავს კონკრეტულ ინფორმაციას, რომელიც უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში, მათ შორის შენიშვნებში. საწარმოს არ ევალება ამა თუ იმ სტანდარტით მოთხოვნილი კონკრეტული ინფორმაციის გამჟღავნება, თუ ეს ინფორმაცია არსებითი არ არის. ზემოაღნიშნული ეხება ისეთ შემთხვევასაც, როდესაც სტანდარტი მოიცავს კონკრეტული მოთხოვნების ჩამონათვალს, ან სტანდარტის მოთხოვნები მოიხსენიება, როგორც მინიმალური მოთხოვნები. საწარმომ ასევე უნდა განიხილოს დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნების აუცილებლობის საკითხი, თუ სტანდარტის კონკრეტული მოთხოვნების შესრულება საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან კონკრეტული ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენის შესახებ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე.

### ურთიერთგადაფარვა

**32. არ შეიძლება აქტივებისა და ვალდებულებების ან ხარჯებისა და შემოსავლების ურთიერთგადაფარვა, თუ ეს არ მოითხოვება ან დაშვებული არ არის რომელიმე სტანდარტით.**

33. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ანგარიშგებაში ცალ-ცალკე იყოს წარდგენილი აქტივები და ვალდებულებები, შემოსავლები და ხარჯები. თუ ურთიერთგადაფარვა არ ასახავს ოპერაციის ან მოვლენის შინაარსს, მაშინ მუხლების ურთიერთგადაფარვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ან განცალკევებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში (თუ წარდგენილია) ინფორმაციის მომხმარებელს მცირე შესაძლებლობას აძლევს იმისათვის, რომ გაერკვეს განხორციელებულ ოპერაციებში, სხვა მოვლენებსა და პირობებში და შეაფასოს საწარმოს მომავალი ფულადი ნაკადები. აქტივების შეფასება შეფასებითი ხასიათის შესწორებების გარეშე (მაგალითად, მარაგისთვის - დაძველებით გამოწვეული ფასშესწორება, ხოლო მოთხოვნებისთვის - საეჭვო ვალების ანარიცხები) არ არის ურთიერთგადაფარვა.

34. ფასს 15-ის - *„ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“* - შესაბამისად, საწარმოს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგების შეფასება ევალება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. მაგალითად, აღიარებული ამონაგების თანხა ასახავს საწარმოს მიერ გაცემულ ყოველგვარ სავაჭრო დათმობასა და შენაძენის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობის თანხებს. საწარმო ჩვეულებრივი საქმია-

ნობის დროს ისეთ ოპერაციებსაც ახორციელებს, რომლებსაც არ მოაქვს ამონაგები, მაგრამ დაკავშირებულია ამონაგების მომტან ძირითად საქმიანობასთან. ასეთი ოპერაციების შედეგების წარდგენა შემოსავლებიდან ხარჯების გამოქვითვით მაშინ ხდება, როდესაც ამგვარი წარდგენა ოპერაციის ან მოვლენის შინაარსს ასახავს. მაგალითად:

ა) გრძელვადიანი აქტივების, მათ შორის ინვესტიციებისა და საოპერაციო აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ან ზარალის წარდგენა ხდება აქტივის გაყიდვის შედეგად მიღებული ანაზღაურების თანხიდან მისი საბალანსო ღირებულებისა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოქვითვით; და

ბ) იმ ანარიცხთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც აღიარებულია ბასს 37-ის - *,,ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები”* - შესაბამისად და იფარება მესამე მხარესთან დადებული სახელშეკრულებო პირობების მიხედვით (მაგალითად, მომწოდებლის საგარანტიო ხელშეკრულება), შესაძლოა გამოიქვითოს მიღებული ანაზღაურებიდან.

35. გარდა ამისა, ფინანსურ ანგარიშგებაში გამოქვითვის პრინციპის საფუძველზე აისახება მსგავსი ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი, მაგალითად, უცხოური ვალუტის საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი, ან სავაჭროდ გამიზნულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი. ამასთან, ასეთი ტიპის შემოსულობა და ზარალი ანგარიშგებაში ცალ-ცალკე აისახება, თუ ისინი არსებითია.

### ანგარიშგების წარდგენის სიხშირე

**36. საწარმომ ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი (მათ შორის შესადარისი ინფორმაცია) უნდა წარადგინოს სულ მცირე წელიწადში ერთხელ მაინც. როდესაც საწარმო ცვლის საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღს და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს ერთ წელიწადზე ნაკლებ ან მეტ დროში, მან ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა მიუთითოს ფინანსური ანგარიშგებით მოცული პერიოდი და გააკეთოს შემდეგი დამატებითი განმარტებები:**

**ა) მიზეზი, რატომ გამოიყენა ერთი წელიწადისაგან განსხვავებული პერიოდი; და**

**ბ) ფაქტი, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები მთლიანად შესადარისი არ არის.**

37. როგორც წესი, ფინანსური ანგარიშგება სისტემატურად, ყოველ წელს მზადდება. თუმცა, ზოგიერთი საწარმო, პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, ამჯობინებს, რომ ანგარიშგება აწარმოოს 52-კვირიანი პერიოდით. წინამდებარე სტანდარტი არ ეწინააღმდეგება ამგვარ პრაქტიკას.

## ინფორმაციის შესადარისობა

*მინიმალური შესადარისი ინფორმაცია*

**38. თუ ფასს სტანდარტებით სხვა რამ არ მოითხოვება, ან არ არის ნებადართული, საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს გასული პერიოდის შესადარისი ინფორმაცია, მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ყველა რიცხობრივი მონაცემის შესაბამისად. შესადარისი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს თხრობითი და აღწერილობითი ხასიათის ინფორმაციასაც, თუ ამის გაკეთება აუცილებელია მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების უკეთ გასაგებად.**

**38ა. საწარმომ უნდა წარმოადგინოს, როგორც მინიმუმი, ორი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, ორი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება, ორი განცალკევებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება (თუ ასეთი წარდგენილი აქვს), ორი ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ორი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები.**

38ბ. ზოგ შემთხვევაში, წინა პერიოდ(ებ)ის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აღწერილობითი ხასიათის ინფორმაცია მიმდინარე პერიოდისთვისაც ისევ შესაფერისია. მაგალითად, საწარმო მიმდინარე პერიოდში განმარტავს დაუმთავრებელი სასამართლო საქმის დეტალებს, რომლის შედეგი წინა პერიოდის ბოლოს გაურკვეველი იყო და ჯერ ისევ არ არის გადაწყვე-

 © IFRS Foundation

ტილი. მომხმარებლებისთვის სასარგებლოა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ წინა პერიოდის ბოლოს განუსაზღვრელობა არსებობდა და ასევე იმის შესახებ, მიმდინარე პერიოდში რა ზომები გატარდა მის გადასაჭრელად.

*დამატებითი შესადარისი ინფორმაცია*

38გ. საწარმოს შეუძლია, ფასს სტანდარტებით მოთხოვნილი მინიმალური შესადარისი ფინანსური ანგარიშგებების გარდა, წარმოადგინოს დამატებითი შესადარისი ინფორმაცია, თუ აღნიშნული ინფორმაცია მომზადებული იქნება ფასს სტანდარტების შესაბამისად. ამგვარი შესადარისი ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს ერთ ან რამდენიმე ანგარიშგებას, რომლებიც მითითებულია მე-10 პუნქტში, მაგრამ აუცილებელი არ არის, რომ ეს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი იყოს. თუ საწარმო წარმოადგენს ამგვარ დამატებით შესადარის ინფორმაციასაც, მან ასევე უნდა წარმოადგინოს ამ დამატებითი ანგარიშგებების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებიც.

38დ. მაგალითად, საწარმოს შეუძლია წარმოადგინოს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის მესამე ანგარიშგება (ამგვარად, წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის, გასული პერიოდისა და ერთი დამატებითი შესადარისი პერიოდის ანგარიშგებას). თუმცა, საწარმო ვალდებული არ არის, რომ წარმოადგინოს მესამე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, მესამე ფულადი ნაკადების ანგარიშგება, ან მესამე საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (ე.ი. დამატებითი შესადარისი ფინანსური ანგარიშგებები). საწარმომ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა წარმოადგინოს შესადარისი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია დამატებით მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებასთან.

39-40. [გაუქმებულია]

*სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა, რეტროსპექტული გადაანგარიშება ან რეკლასიფიკაცია*

**40ა. საწარმომ, 38ა პუნქტის თანახმად მოთხოვნილი მინიმალური რაოდენობის შესადარისი ფინანსური ანგარიშგებების გარდა, უნდა წარმოადგინოს მესამე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წინა პერიოდის დასაწყისის მდგომარეობით, თუ:**

**ა) სააღრიცხვო პოლიტიკას იყენებს რეტროსპექტულად, რეტროსპექტულად აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების მუხლების გადაანგარიშებას, ან რეკლასიფიკაციას; და**

**ბ) სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტულად გამოყენება, ფინანსური ანგარიშგების მუხლების რეტროსპექტულად გადაანგარიშება, ან რეკლასიფიკაცია არსებით გავლენას ახდენს წინა პერიოდის დასაწყისის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე.**

40ბ. ისეთ სიტუაციაში, რომელიც აღწერილია 40ა პუნქტში, საწარმომ უნდა წარმოადგინოს სამი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომლებიც მომზადებული იქნება შემდეგი თარიღებისთვის:

ა) მიმდინარე პერიოდის დასასრული;

ბ) წინა პერიოდის დასასრული; და

გ) წინა პერიოდის დასაწყისი.

40გ. თუ საწარმოს 40ა პუნქტის თანახმად ევალება დამატებითი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა, მან განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ბასს 8-ის 41-44-ე პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია. თუმცა, იგი ვალდებული არ არის, წარმოადგინოს წინა პერიოდის დასაწყისისთვის მომზადებული საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები.

40დ. ზემოაღნიშნული საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღი უნდა იყოს წინა პერიოდის დაწყების თარიღი, იმის მიუხედავად, საწარმოს ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა უფრო ადრინდელი პერიოდების შესადარის ინფორმაციას (როგორც ეს ნებადართულია 38გ პუნქტით).

**41. როდესაც საწარმო ცვლის ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლების წარდგენას ან კლასიფიკაციას, მან ხელახლა უნდა მოახდინოს შესადარისი თანხების კლასიფიკაციაც, იმ შემთხვევის გარდა,**

**როდესაც ეს შეუძლებელია. თუ შესადარისი თანხების რეკლასიფიკაცია ხდება, საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია (მათ შორის წინა პერიოდის დასაწყისის მდგომარეობით):**

**ა) რეკლასიფიკაციის ხასიათი;**

**ბ) თითოეული მუხლის ან მუხლების ჯგუფის თანხა, რომლის რეკლასიფიკაციაც მოხდა; და**

**გ) რეკლასიფიკაციის მიზეზი.**

**42. როდესაც შესადარისი თანხების რეკლასიფიკაციის განხორციელება შეუძლებელია, საწარმომ უნდა ახსნას:**

**ა) ამის უშუალო მიზეზი; და**

**ბ) იმ კორექტირებების ხასიათი, რომლებიც საჭირო იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა თანხების რეკლასიფიკაცია.**

43. სხვადასხვა პერიოდის ინფორმაციის შესადარისობა მომხმარებელს ეხმარება ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში, განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ ეძლევა პროგნოზირებისათვის აუცილებელი ფინანსური ინფორმაციის ტენდენციების შეფასების საშუალება. ზოგიერთ შემთხვევაში, შეუძლებელია რომელიმე კონკრეტული წინა პერიოდის შესადარისი ინფორმაციის რეკლასიფიკაცია მიმდინარე პერიოდთან შესადარისობის მისაღწევად. მაგალითად, შესაძლოა წინა პერიოდში (პერიოდებში) ვერ მოხერხდა მონაცემების იმგვარად შეგროვება, რომელიც მოგვცემდა რეკლასიფიკაციის საშუალებას და ინფორმაციის ხელახალი შექმნაც შეიძლება შეუძლებელი იყოს.

44. ბასს 8 ეხება შესადარისი ინფორმაციის ისეთ კორექტირებებს, რომლებიც მოითხოვება იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკას ან შეცდომას ასწორებს.

### წარდგენის უცვლელობა

**45. ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლების კლასიფიკაცია და წარდგენის ფორმა უნდა შენარჩუნდეს ყოველ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:**

**ა) საწარმოს საქმიანობის შინაარსი მნიშვნელოვნად იცვლება ან, როდესაც ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვიდან ჩანს, რომ სხვაგვარი წარდგენა ან კლასიფიკაცია უფრო მეტად შეესაბამება ბასს 8-ში მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევისა და გამოყენების კრიტერიუმებს; ან**

**ბ) რომელიმე სტანდარტი მოითხოვს წარდგენის შეცვლას.**

46. მაგალითად, ფინანსური ანგარიშგების წარდგენა შესაძლოა სხვა სახითაც მოხდეს, თუ ამის აუცილებლობას გვკარნახობს რომელიმე მნიშვნელოვანი შეძენა ან გაყიდვა, ან ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ფორმის მიმოხილვა. საწარმო ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ფორმას მხოლოდ იმ შემთხვევაში ცვლის, თუ შეცვლილი სტრუქტურა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს უფრო საიმედო და შესაბამის ინფორმაციას მიაწვდის და შემდგომშიც ისე იქნება გამოყენებული, რომ უარყოფით გავლენას არ იქონიებს შესადარისობაზე. ანგარიშგებაში ასეთი ცვლილებების დროს, საწარმო ახდენს შესადარისი ინფორმაციის ხელახალ კლასიფიკაციას, 41-ე და 42-ე პუნქტების მიხედვით.

## სტრუქტურა და შინაარსი

### შესავალი

47. წინამდებარე სტანდარტი გარკვეული ინფორმაციის განმარტებას მოითხოვს ფინანსური მდგომარეობის ან სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, განცალკევებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში (თუ წარდგენილია) ან საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში, ხოლო დანარჩენი მუხლების განმარტებას მოითხოვს ან ამავე ანგარიშგებებში, ან მათ განმარტებით შენიშვნებში. *ფულადი ნაკადების ანგარიშგების* წარდგენის მოთხოვნები აღწერილია ბასს 7-ში.

 © IFRS Foundation

48. წინამდებარე სტანდარტში ტერმინი „განმარტება“ ზოგჯერ გამოყენებულია ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით და მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მუხლებსაც. განმარტებების გაკეთება სხვა სტანდარტითაც მოითხოვება. თუ წინამდებარე სტანდარტის ან სხვა სტანდარტების მოთხოვნებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ასეთი განმარტებები კეთდება ფინანსურ ანგარიშგებაში.

### ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიკაცია

**49. ფინანსური ანგარიშგება გასაგებად უნდა იყოს იდენტიფიცირებული და გამოკვეთილი იმავე ოფიციალურ დოკუმენტში გამოქვეყნებული სხვა ინფორმაციისაგან.**

50. სტანდარტი ვრცელდება მხოლოდ ფინანსურ ანგარიშგებაზე და არა საწარმოს საქმიანობის წლიურ ანგარიშში წარდგენილ სხვა ინფორმაციაზე, ან რომელიმე სხვა ოფიციალურ დოკუმენტზე. ამიტომ მომხმარებელმა უნდა შეძლოს ფასს სტანდარტების საფუძველზე მომზადებული ინფორმაციის გარჩევა სხვა ინფორმაციისაგან, რომელიც ასევე შესაძლოა საჭირო იყოს მათთვის, მაგრამ არ არის ფასს სტანდარტების ობიექტი.

**51. თითოეული ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნა გარკვევით უნდა იყოს იდენტიფიცირებული. გარდა ამისა, ანგარიშგებაში თვალსაჩინოდ უნდა იყოს ფორმულირებული შემდეგი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ინფორმაციის გამეორება წარმოდგენილი ინფორმაციის სათანადოდ გაგების მიზნით):**

**ა) ანგარიშვალდებული საწარმოს დასახელება ან სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები და წინა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების შემდეგ ამ ინფორმაციაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება;**

**ბ) ფინანსური ანგარიშგება ერთ საწარმოს ეხება თუ საწარმოთა ჯგუფს;**

**გ) საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი, ან ფინანსური ანგარიშგების პაკეტით და განმარტებითი შენიშვნებით მოცული პერიოდი;**

**დ) წარსადგენი ვალუტა, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 21-ში; და**

**ე) ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული დამრგვალების დონე.**

52. 51-ე პუნქტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, ფინანსური ანგარიშგების გვერდები, თვითონ ანგარიშგებები, განმარტებითი შენიშვნები, ცხრილის სვეტები და ა.შ. დასათაურებული უნდა იყოს. ამგვარი ინფორმაციის წარდგენის საუკეთესო გზის დასადგენად, საჭიროა განსჯა და გადაწყვეტილების მიღება. მაგალითად, როდესაც საწარმო ფინანსური ანგარიშგების ელექტრონულ ვერსიას წარადგენს, ყოველთვის არ გამოიყენება ცალკეული გვერდები. ასეთ შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სათანადოდ გასაგებად საკმარისი იქნება ზემოთ ნახსენები პუნქტების უბრალოდ ჩამოთვლა.

53. ხშირად ფინანსური ანგარიშგება უფრო გასაგები ხდება, როდესაც რიცხვები დამრგვალებულია და წარსადგენი ვალუტა ათასებში ან მილიონებშია გამოსახული. ეს მისაღებია, რადგან დამრგვალების დონე ახსნილია ანგარიშგებაში და არც არსებითი ინფორმაცია იკარგება.

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

### ინფორმაცია, რომელიც აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

**54. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აუცილებელია აისახოს ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლების შესაბამისი თანხები:**

**ა) ძირითადი საშუალებები;**

**ბ) საინვესტიციო ქონება**

**გ) არამატერიალური აქტივები;**

**დ) ფინანსური აქტივები ე), თ) და ი) პუნქტებში მითითებული თანხების გარდა;**

და) იმ ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც განეკუთვნება ფასს 17-ის მოქმედების სფეროს და წარმოადგენს აქტივებს, რომლებიც დეზაგრეგირებულია ფასს 17-ის 78-ე პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად;

ე) ინვესტიციები, რომლებიც აღირიცხება წილობრივი მეთოდით;

ვ) ბიოლოგიური აქტივები, რომლებიც განეკუთვნება ბასს 41-ის - *„სოფლის მეურნეობა“* - მოქმედების სფეროს;

ზ) მარაგი;

თ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები;

ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები;

კ) ჯამური თანხა ფასს 5-ის - *„გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“*- შესაბამისად გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული აქტივებისა და გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გამსვლელ ჯგუფში ჩართული აქტივების;

ლ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები;

მ) ანარიცხები;

ნ) ფინანსური ვალდებულებები (გარდა (ლ) და (მ) პუნქტებში მოცემული თანხებისა);

ნა) იმ ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც განეკუთვნება ფასს 17-ის მოქმედების სფეროს და წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც დეზაგრეგირებულია ფასს 17-ის 78-ე პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად;

ო) მიმდინარე საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 12-ში - *„მოგებიდან გადასახადები“.*

პ) გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც ეს განმარტებულია ბასს 12-ში;

ჟ) ფასს 5-ის შესაბამისად გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გამსვლელ ჯგუფში შემავალი ვალდებულებები;

რ) არამაკონტროლებელი წილი, რომელიც წარმოდგენილია საკუთარ კაპიტალში; და

ს) გამოშვებული სააქციო კაპიტალი და მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი რეზერვები.

**55.** **საწარმომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ზემოთ ჩამოთვლილი აუცილებელი მუხლების გარდა, უნდა წარადგინოს დამატებითი მუხლები (მათ შორის, 54-ე პუნქტში ჩამოთვლილი მუხლების დეზაგრეგირებით მიღებული) ქვესათაურები და შუალედური ჯამური თანხები, თუ ამგვარი წარდგენა მიზანშეწონილია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გასაგებად.**

55ა. თუ საწარმო 55-ე პუნქტის შესაბამისად წარადგენს შუალედურ ჯამურ თანხებს, ამგვარი შუალედური ჯამური თანხები:

ა) უნდა მოიცავდეს ისეთ მუხლებს, რომლებიც შედგება ფასს სტანდარტების შესაბამისად აღიარებული და შეფასებული თანხებისგან;

ბ) წარდგენილი და კლასიფიცირებული უნდა იყოს იმგვარად, რომ ნათელი და გასაგები იყოს შუალედური ჯამური თანხის შემადგენელი მუხლები;

გ) უნდა იყოს თანმიმდევრული პერიოდიდან პერიოდამდე, 45-ე პუნქტის შესაბამისად; და

დ) უფრო მეტად თვალსაჩინოდ არ უნდა იყოს გამოყოფილი იმ შუალედურ ჯამურ თანხებთან და ჯამურ თანხებთან შედარებით, რომელთა წარდგენაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოითხოვება ფასს სტანდარტებით.

**56.** **როდესაც საწარმო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალ-ცალკე ასახავს მოკლევადიან და გრძელვადიან აქტივებს, ასევე მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებს, მან**

 © IFRS Foundation

**გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ უნდა ასახოს როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები.**

57. წინამდებარე სტანდარტი არ განსაზღვრავს ამ ელემენტების წარდგენის ფორმატს ან თანამიმდევრობას. 54-ე პუნქტში მოცემულია მხოლოდ იმ მუხლების ჩამონათვალი, რომლებიც იმდენად განსხვავდებიან შინაარსით ან ფუნქციებით, რომ აუცილებელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მათი ცალ-ცალკე წარდგენა. გარდა ამისა:

ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მუხლების დამატება ხდება მაშინ, როდესაც დასამატებელი დამოუკიდებლად წარსადგენი მუხლის ან აგრეგირებული მსგავსი მუხლების შინაარსი, სიდიდე ან ფუნქცია იმგვარია, რომ მათი ცალკე წარდგენა საჭიროა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გასაგებად; და

ბ) საწარმოსა და მისი სამეურნეო ოპერაციების თავისებურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შეიცვალოს ანგარიშგების მუხლების, ან აგრეგირებული მსგავსი მუხლების ჩამონათვალი და თანამიმდევრობა, თუ ეს აუცილებელია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გასაგებად. მაგალითად, ბანკი ცვლის ზემოთ ჩამოთვლილ მუხლებს, რათა წარმოაჩინოს საფინანსო დაწესებულების საქმიანობის შესაფერისი ინფორმაცია.

58. იმის დასადგენად, საჭიროა თუ არა დამატებითი მუხლების ცალკე წარდგენა, საწარმომ უნდა შეაფასოს:

ა) აქტივების შინაარსი და ლიკვიდობა;

ბ) აქტივების ფუნქციები საწარმოში; და

გ) ვალდებულებების შინაარსი, მათი სიდიდე და დაფარვის ვადები.

59. როდესაც შეფასების განსხვავებული საფუძველი გამოიყენება სხვადასხვა კლასის აქტივებისთვის, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება შინაარსით ან ფუნქციებით და, შესაბამისად, ცალ-ცალკე მუხლების სახით უნდა იყოს წარდგენილი. მაგალითად, ბასს 16-ის - „*ძირითადი საშუალებები*" - შესაბამისად, ძირითადი საშუალებების ზოგიერთი ჯგუფი შეიძლება აისახოს თვითღირებულებით, ზოგიერთი - გადაფასებული ღირებულებით.

მოკლევადიანი და გრძელვადიანი მუხლები

**60. ყოველმა საწარმომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად უნდა ასახოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი აქტივები და მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები, წინამდებარე სტანდარტის 66-76-ე მუხლების შესაბამისად, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ლიკვიდობის მიხედვით წარდგენილი ინფორმაცია უფრო საიმედო და შესაბამისია. როდესაც საწარმო ამგვარ გამონაკლისს მიმართავს, მაშინ ყველა აქტივისა და ვალდებულების წარდგენა ლიკვიდობის მიხედვით უნდა მოხდეს.**

**61. ნებისმიერი მეთოდის შერჩევისას საწარმო ვალდებულია, აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული მუხლისათვის ასახოს თანხები, რომელთა მიღება ან დაფარვა მოსალოდნელია თორმეტი თვის შემდეგ, რომელშიც გაერთიანებული იქნება თანხები, რომელთა მიღება ან დაფარვა მოსალოდნელია:**

**ა) საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არა უმეტეს თორმეტ თვეში; და**

**ბ) საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტ თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში.**

62. როდესაც საწარმო საქონლისა და მომსახურების მიწოდებას ზუსტად განსაზღვრული საოპერაციო ციკლის ფარგლებში ახორციელებს, გრძელვადიანი და მოკლევადიანი აქტივებისა და ვალდებულებების ცალ-ცალკე კლასიფიცირება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახვა სასარგებლოა იმით, რომ წმინდა აქტივები, რომლებიც მუდმივად იმყოფება მიმოქცევის პროცესში საბრუნავი კაპიტალის სახით, ცალკე გამოიყოფა იმ წმინდა აქტივებისაგან, რომლებსაც საწარმო გრძელვადიანი საქმიანობისათვის იყენებს. ამასთან, ნათლად გამოიკვეთება ის აქტივები, რომელთა გამოყენებაც ივარაუდება მიმდინარე საოპერაციო ციკლში და ის ვალდებულებები, რომლებიც უნდა დაიფაროს იმავე პერიოდში.

63. ზოგიერთი საწარმოსათვის, როგორიცაა, მაგალითად, საფინანსო დაწესებულებები, აქტივებისა და ვალდებულებების ასახვა ზრდადი ან კლებადი ლიკვიდობის მიხედვით უფრო საიმედო და

შესაბამის ინფორმაციას წარმოადგენს, ვიდრე მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნიშნის მიხედვით ასახვა. ეს იმით არის განპირობებული, რომ საფინანსო დაწესებულება მკაფიოდ განსაზღვრულ საოპერაციო ციკლში არ აწარმოებს საქონლისა და მომსახურების მიწოდებას.

64. მე-60 პუნქტის შესაბამისად, საწარმოს უფლება აქვს ზოგიერთი აქტივი და ვალდებულება წარმოადგინოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი კლასიფიკაციით და ზოგიერთი - ლიკვიდობის მიხედვით, თუ ამგვარი წარდგენა უფრო საიმედო და შესაბამის ინფორმაციას იძლევა. ასეთი კომბინირებული ანგარიშგების საჭიროება წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როცა საწარმო სხვადასხვა სახის ოპერაციას ახორციელებს.

65. ინფორმაცია აქტივებისა და ვალდებულებების გადახდის ვადების შესახებ სასარგებლოა საწარმოს ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის შესაფასებლად. ფასს 7 - *„ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“* - მოითხოვს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების განაღდების ვადების ასახვას. ფინანსური აქტივები მოიცავს ვაჭრობიდან და სხვა საქმიანობიდან მისაღებ მოთხოვნებს, ხოლო ფინანსური ვალდებულებები - ვაჭრობიდან და სხვა საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებს. ასევე სასარგებლოა ინფორმაცია ისეთი არაფულადი აქტივებისა და ვალდებულებების მიღებისა და დაფარვის ვადების შესახებ, როგორიცაა მარაგი და ანარიცხები, იმის მიუხედავად, კლასიფიცირებულია თუ არა აქტივები და ვალდებულებები მოკლევადიან და გრძელვადიან აქტივებად და ვალდებულებებად. მაგალითად, საწარმო განმარტებით შენიშვნებში ასახავს იმ მარაგის ღირებულებას, რომლის ამოღება მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტ თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში.

### მოკლევადიანი აქტივები

**66. საწარმომ აქტივი უნდა განიხილოს, როგორც მოკლევადიანი აქტივი, თუ იგი:**

**ა) აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;**

**ბ) აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;**

**გ) აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან**

**დ) აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი (ბასს 7-ში მოცემული განმარტების შესაბამისად), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.**

**საწარმომ ყველა სხვა აქტივი უნდა მიეკუთვნოს გრძელვადიან აქტივებს.**

67. წინამდებარე სტანდარტში ცნება „გრძელვადიანი აქტივები“ მოიცავს ყველა გრძელვადიან მატერიალურ, არამატერიალურ და ფინანსურ აქტივს, რომლებიც გამოიყენება გრძელვადიანი დანიშნულებით. აკრძალული არ არის ალტერნატიული კლასიფიკაციის გამოყენება, თუკი მისი მნიშვნელობა (შინაარსი) ნათელია.

68. საოპერაციო ციკლი მოიცავს დროის იმ მონაკვეთს, რომელიც იწყება წარმოებისათვის საჭირო აქტივების შეძენით და მთავრდება მზა პროდუქციის გაცვლით ფულად სახსრებზე ან ფულადი სახსრების ეკვივალენტზე. როდესაც საწარმოს ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლი ზუსტ განსაზღვრას არ ექვემდებარება, იგულისხმება, რომ იგი შეადგენს თორმეტ თვეს. მოკლევადიანი აქტივები მოიცავს აქტივებს (როგორიცაა მარაგები და სავაჭრო მოთხოვნები), რომლებიც გაყიდული, მოხმარებული ან რეალიზებულია, ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის ფარგლებში, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათი რეალიზება მოსალოდნელი არ არის საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვეში. მოკლევადიანი აქტივები ასევე მოიცავს უშუალოდ სავაჭრო მიზნებისთვის განკუთვნილ აქტივებსა (ამ კატეგორიაში შედის ზოგიერთი ფინანსური აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს ფასს 9-ში მოცემულ სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივის განმარტებას) და გრძელვადიანი ფინანსური აქტივების მიმდინარე ნაწილს.

### მოკლევადიანი ვალდებულებები

**69. საწარმომ ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად უნდა მიიჩნიოს, თუ:**


© IFRS Foundation

**ა) მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;**

**ბ) ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;**

**გ) უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან**

**დ) საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში (იხ. პ.73). ვალდებულების სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც კონტრაჰენტს არჩევანის უფლებას აძლევს, ანგარიშსწორება აწარმოოს წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებით, გავლენას არ ახდენს მის კლასიფიკაციაზე.**

**ყველა სხვა ვალდებულება მიიჩნევა გრძელვადიან ვალდებულებად.**

70. ზოგიერთი მოკლევადიანი ვალდებულება, მაგალითად, სავაჭრო ვალდებულებები, ზოგიერთი ტიპის დარიცხვა დასაქმებულთათვის და სხვა საწარმოო დანახარჯები, საბრუნავი კაპიტალის ნაწილია, რომელიც გამოიყენება საწარმოს საქმიანობის ჩვეულებრივ ციკლში. ასეთი მუხლები მოკლევადიან ვალდებულებად კლასიფიცირდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში. საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციის მიზნებისთვის ერთი და იგივე ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლი უნდა გამოიყენოს. როცა საწარმოს საოპერაციო ციკლი ზუსტად არ არის განსაზღვრული, იგულისხმება, რომ იგი შეადგენს თორმეტ თვეს.

71. ზოგიერთი მოკლევადიანი ვალდებულება არ წარმოადგენს მიმდინარე საწარმოო ციკლის ნაწილს და გადასახდელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვეში ან, ძირითადად, სავაჭრო დანიშნულებით გამოიყენება. მაგალითად, ფასს 9-ის შესაბამისად, სავაჭროდ გამიზნულად კლასიფიცირებული ფინანსური ვალდებულებები, საბანკო ოვერდრაფტები, გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი, გადასახდელი დივიდენდები, მოგებიდან გადასახადები და სხვა არასავაჭრო ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც გრძელვადიან დაფინანსებას უზრუნველყოფს (ე.ი. არ წარმოადგენს საბრუნავი კაპიტალის ნაწილს, რომელიც გამოიყენება საწარმოს ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის განმავლობაში) და დასაფარი არ არის საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვეში, მიიჩნევა გრძელვადიან ვალდებულებებად 74-ე და 75-ე პუნქტების შესაბამისად.

72. საწარმომ ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს, როგორც მოკლევადიანი, თუ ისინი გადახდას ექვემდებარება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში, იმ შემთხვევაშიც კი, როცა:

ა) მათი გადახდის პირვანდელი ვადა 12 თვეზე მეტი იყო; და

ბ) საწარმოს მიღწეული აქვს შეთანხმება ვალდებულებების რეფინანსირების შესახებ გრძელვადიანი პირობებით და აღნიშნული შეთანხმება მთავრდება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ხელმოწერის თარიღამდე.

72ა-72ბ *[ეს პუნქტები ისეთ ცვლილებებს ეხება, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და ამიტომ გათვალისწინებული არ არის ამ გამოცემაში.]*

73. თუ საწარმო ვარაუდობს და მის სურვილზეა დამოკიდებული ვალის რეფინანსირება ან გადავადება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ ცოტა 12 თვით, მან ვალდებულების კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს, როგორც გრძელვადიანი მაშინაც კი, თუ ამის გარეშე ისინი დასაფარი იქნებოდა მოკლევადიან პერიოდში. თუმცა, როდესაც ვალის რეფინანსირება ან გადავადება დამოკიდებული არ არის საწარმოს სურვილზე (მაგალითად, როცა არ არსებობს რეფინანსირების ხელშეკრულება), რეფინანსირების პოტენციური შესაძლებლობა მხედველობაში არ მიიღება და ვალდებულება განიხილება, როგორც მოკლევადიანი.

74. თუ საწარმო არღვევს გრძელვადიანი სესხის ხელშეკრულების პირობას საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებისას ან მანამდე, რის შემდეგაც ვალდებულება მოთხოვნისთანავე გადასახდელი ხდება, ვალდებულების კლასიფიცირება უნდა მოხდეს როგორც მოკლევადიანი იმ შემთხვევაშიც კი, როცა კრედიტორი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ხელმოწერის თარიღამდე თანხმდება, რომ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო არ მოითხოვს ვალდებულების დაფარვას. ამგვარი ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად კლასიფიცირდება იმის გამო, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სა-

წარმოს არ გააჩნია უპირობო უფლება, ვალდებულების დაფარვა გადაავადოს ამ თარიღიდან სულ ცოტა 12 თვით მაინც.

75. თუმცა, ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, თუ კრედიტორი საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებისას თანხმდება ვალის გადავადებაზე, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ ცოტა 12 თვით, რომლის განმავლობაშიც საწარმოს საშუალება ეძლევა გამოასწოროს ხელშეკრულების პირობის დარღვევა და, ამავდროულად, კრედიტორს არ შეეძლება ვალის ანაზღაურების დაუყოვნებლივ მოთხოვნა.

75ა. *[ეს პუნქტი ისეთ ცვლილებებს ეხება, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და ამიტომ გათვალისწინებული არ არის ამ გამოცემაში.]*

76. რაც შეეხება მოკლევადიან ვალდებულებად კლასიფიცირებულ სესხებს, თუ ქვემოთ ჩამოთვლილ მოვლენებს ადგილი აქვს საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღსა და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ხელმოწერის თარიღს შორის, ეს მოვლენები მიიჩნევა არამაკორექტირებელ მოვლენებად და განიმარტება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში ბასს 10-ის - ,,*საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები*“ - მიხედვით:

ა) რეფინანსირება ვადის გახანგრძლივებით;

ბ) გრძელვადიანი სესხის ხელშეკრულების პირობის დარღვევის გასწორება; და

გ) კრედიტორის მიერ საშეღავათო პერიოდის მიცემა გრძელვადიანი სასესხო ხელშეკრულების პირობის დარღვევის გამოსასწორებლად.

76ა-76ბ. *[ეს პუნქტები ისეთ ცვლილებებს ეხება, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და ამიტომ გათვალისწინებული არ არის ამ გამოცემაში.]*

### ინფორმაცია, რომელიც აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ან განმარტებით შენიშვნებში

**77. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ან განმარტებით შენიშვნებში საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების ქვეჯგუფები და ისინი დააჯგუფოს საწარმოს საქმიანობისათვის შესაფერისი ფორმით.**

78. ქვეჯგუფებში კლასიფიცირებული დეტალური ინფორმაცია დამოკიდებულია ფასს სტანდარტების მოთხოვნებსა და თანხის სიდიდეზე, შინაარსსა და ფუნქციაზე. 58-ე პუნქტში განხილული ფაქტორები გამოიყენება აგრეთვე ქვეჯგუფებად კლასიფიკაციის საფუძვლად. განმარტებები თითოეული მუხლისათვის განსხვავებულია, მაგალითად:

ა) ძირითადი საშუალებების ელემენტები უნდა დაჯგუფდეს ბასს 16-ში მოცემული კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) მოთხოვნები შეიძლება დაიყოს: სავაჭრო შემკვეთებისაგან (მომხმარებლებისაგან), დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღებ მოთხოვნებად, გადახდილ ავანსებად და სხვა თანხებად;

გ) მარაგების ქვეჯგუფებად დაყოფა ხდება ბასს 2-ის - „*მარაგები*“ - მიხედვით: საქონელი, საწარმოო მარაგი, ნედლეული, დაუმთავრებელი წარმოება და მზა პროდუქცია;

დ) ანარიცხები იყოფა დასაქმებულთა გასამრჯელოების ანარიცხებად და სხვა მუხლებად; და

ე) საკუთარი კაპიტალი და რეზერვები იყოფა სხვადასხვა კლასებად, როგორიცაა, სააქციო კაპიტალის ანაზღაურებული ნაწილი, საემისიო კაპიტალი და რეზერვები.

**79. შემდეგი ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ან საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში, ან განმარტებით შენიშვნებში:**

**ა) ყველა ტიპის სააქციო კაპიტალისათვის:**

**(i) ნებადართული აქციების რაოდენობა;**

**(ii) გამოშვებული და მთლიანად ანაზღაურებული აქციების რაოდენობა და გამოშვებული, მაგრამ ნაწილობრივ ანაზღაურებული აქციების რაოდენობა;**


© IFRS Foundation

(iii) ერთი აქციის ნომინალური ღირებულება, ან ის ფაქტი, რომ აქციებს არ გააჩნია ნომინალური ღირებულება;

(iv) მიმოქცევაში გაშვებული აქციების რაოდენობის შეჯერება პერიოდის დასაწყისსა და ბოლოსათვის;

(v) უფლებები, პრივილეგიები და შეზღუდვები, რომლებიც ეხება მოცემული ტიპის სააქციო კაპიტალს, მათ შორის, დივიდენდების განაწილებასა და კაპიტალის დაფარვასთან დაკავშირებული შეზღუდვები;

(vi) საწარმოს აქციები, რომლებიც თვით საწარმოს, მისი შვილობილი ან მეკავშირე საწარმოების საკუთრებაშია; და

(vii) აქციები, რომლებიც გამოსაშვებად დარეზერვებულია ოფციონებისა და აქციების გაყიდვის ხელშეკრულებებისათვის, გამოშვების პირობებისა და თანხების ჩვენებით; და

ბ) საკუთარ კაპიტალში ასახული თითოეული რეზერვის შინაარსისა და დანიშნულების აღწერა.

80. საწარმომ, რომელსაც არა აქვს სააქციო კაპიტალი, როგორიცაა, მაგალითად ამხანაგობა ან სატრასტო ორგანიზაცია, უნდა წარადგინოს 79 (ა) პუნქტში მოცემული მოთხოვნების ეკვივალენტური ინფორმაცია, სადაც ნაჩვენები იქნება პერიოდის განმავლობაში თითოეული კატეგორიის საკუთარი კაპიტალის წილში მომხდარი ცვლილება, ასევე თითოეული კატეგორიის საკუთარი კაპიტალის წილთან დაკავშირებული უფლებები, პრივილეგიები და შეზღუდვები.

80ა. თუ საწარმომ მოახდინა რეკლასიფიკაცია:

ა) წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირებულ დაბრუნებადი ფინანსური ინსტრუმენტის; ან

ბ) წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირებული ინსტრუმენტის, რომელიც საწარმოს აკისრებს ვალდებულებას, მხოლოდ ლიკვიდაციის შემთხვევაში სხვა მხარეს გადასცეს საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი

და მას ფინანსური ვალდებულების კლასიფიკაცია მიანიჭა ან პირიქით, მან უნდა განმარტოს თანხა, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის თითოეულ კატეგორიაში (ფინანსური ვალდებულებები ან საკუთარი კაპიტალი) ჩართვისა და თითოეული კატეგორიიდან ამოღების შედეგად, რეკლასიფიკაციის თარიღი და მიზეზი.

## მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

81. [გაუქმებულია]

81ა. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (სრული შემოსავლის ანგარიშგებაში), მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის განყოფილებების გარდა, წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი მუხლები:

ა) მოგება ან ზარალი;

ბ) სხვა სრული შემოსავლის მთლიანი თანხა;

გ) პერიოდის სრული შემოსავალი, რომელიც ასახავს მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის მთლიან თანხას.

თუ საწარმო განცალკევებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას წარადგენს, ამ შემთხვევაში მას არ ევალება მოგების ან ზარალის განყოფილების გათვალისწინება იმ ანგარიშგებაში, სადაც წარმოდგენილია სრული შემოსავალი.

81ბ. საწარმომ, მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის განყოფილებების გარდა, უნდა წარმოადგინოს შემდეგი მუხლები, რომლებიც ასახავს მოცემული პერიოდის მოგების, ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის განაწილებას:

ა) პერიოდის მოგება ან ზარალი, რომელიც მისაკუთვნებელია:

(i) არამაკონტროლებელ წილზე; და

(ii) მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე.

ბ) პერიოდის სრული შემოსავალი, რომელიც მისაკუთვნებელია:

(i) არამაკონტროლებელ წილზე; და

(ii) მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე.

თუ საწარმო მოგებასა და ზარალს განცალკევებულ ანგარიშგებაში წარადგენს, ამ შემთხვევაში მან ამ ანგარიშგებაში ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს მხოლოდ (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად.

## ინფორმაცია, რომელიც აისახება მოგების ან ზარალის განყოფილებაში, ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში

82. სხვა სტანდარტებით მოთხოვნილი მუხლების გარდა, მოგების ან ზარალის ნაწილი, ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგება უნდა მოიცავდეს მუხლებს, რომლებიც ასახავს მოცემული პერიოდის შემდეგ თანხებს:

ა) ამონაგები, ისე რომ განცალკევებული იყოს:

(i) ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო ამონაგები; და

(ii) სადაზღვევო ამონაგები (იხ. ფასს 17).

აა) ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი;

აბ) საწარმოს მიერ გამოშვებულ იმ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით წარმოშობილი სადაზღვევო მომსახურების ხარჯები, რომლებიც განეკუთვნება ფასს 17-ის მოქმედების სფეროს (იხ. ფასს 17);

აგ) ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით წარმოშობილი შემოსავალი ან ხარჯები (იხ. ფასს 17);

ბ) ფინანსური დანახარჯები;

ბა) გაუფასურების ზარალი (მათ შორის, გაუფასურების ზარალის აღდგენილი თანხები, ან გაუფასურების შემოსულობა), რომელიც განსაზღვრულია ფასს 9-ის 5.5 ნაწილის შესაბამისად;

ბბ) საწარმოს მიერ გამოშვებულ იმ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით წარმოშობილი სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი ან ხარჯები, რომლებიც განეკუთვნება ფასს 17-ის მოქმედების სფეროს (იხ. ფასს 17);

ბგ) ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით წარმოშობილი ფინანსური შემოსავალი ან ხარჯები (იხ. ფასს 17);

გ) წილობრივი მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებისა და ერთობლივი საწარმოების მოგების ან ზარალის წილი;

გა) თუ ფინანსური აქტივი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული კატეგორიიდან რეკლასიფიცირებულია და რეკლასიფიკაციის შედეგად შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით - სხვაობა ფინანსური აქტივის ადრინდელ ამორტიზებულ ღირებულებასა და რეკლასიფიკაციის თარიღის მდგომარეობით განსაზღვრულ სამართლიან ღირებულებას შორის განსხვავების თანხა (როგორც ეს განმარტებულია ფასს 9-ში);

გბ) თუ ფინანსური აქტივი „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ კატეგორიიდან რეკლასიფიცირებულია და შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით - ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც რეკლასიფიცირებულია მოგებაში ან ზარალში;

დ) საგადასახადო ხარჯი;

ე) [გაუქმებულია]


© IFRS Foundation

ეა) შეწყვეტილი ოპერაციების ჯამური, ერთიანი თანხა (იხ. ფასს 5);

(ვ-ი) [გაუქმებულია]

## ინფორმაცია, რომელიც აისახება სხვა სრული შემოსავლის განყოფილებაში

**82ა. სხვა სრული შემოსავლის განყოფილებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მუხლები მოცემული პერიოდის შემდეგ თანხებთან მიმართებით:**

**ა) სხვა სრული შემოსავლის შემადგენელი მუხლები, რომლებიც კლასიფიცირებულია ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ((ბ) ქვეპუნქტში მითითებული თანხების გარდა) და გაერთიანებულია მუხლების ისეთ ჯგუფებად, რომლებიც სხვა სტანდარტების შესაბამისად:**

**(i) არ შეიძლება, რომ შემდგომში რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში, ან ზარალში; და**

**(ii) შემდგომში რეკლასიფიცირებული იქნება მოგებაში ან ზარალში, როდესაც შესრულდება გარკვეული პირობები.**

**ბ) წილი წილობრივი მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებისა და ერთობლივი საწარმოების სხვა სრულ შემოსავალში, ისე, რომ ცალ-ცალკე იყოს წარმოდგენილი საწარმოს წილი ისეთ მუხლებში, რომლებიც სხვა სტანდარტების შესაბამისად:**

**(i) არ შეიძლება, რომ შემდგომში რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში, ან ზარალში; და**

**(ii) შემდგომში რეკლასიფიცირებული იქნება მოგებაში ან ზარალში, როდესაც შესრულდება გარკვეული პირობები.**

**83-**

**84.** [გაუქმებულია]

**85. საწარმომ უნდა წარადგინოს დამატებითი მუხლები (მათ შორის, 82-ე პუნქტში ჩამოთვლილი მუხლების დეზაგრეგირებით მიღებული), ქვესათაურები და შუალედური ჯამური თანხები ანგარიშგებაში (ანგარიშგებებში), სადაც წარდგენილია მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავალი, თუ ამგვარი წარდგენა მიზანშეწონილია საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების გასაგებად.**

85ა. თუ საწარმო 85-ე პუნქტის შესაბამისად წარადგენს შუალედურ ჯამურ თანხებს, ამგვარი შუალედური ჯამური თანხები:

ა) უნდა მოიცავდეს ისეთ მუხლებს, რომლებიც შედგება ფასს სტანდარტების შესაბამისად აღიარებული და შეფასებული თანხებისგან;

ბ) წარდგენილი და კლასიფიცირებული უნდა იყოს იმგვარად, რომ ნათელი და გასაგები იყოს შუალედური ჯამური თანხის შემადგენელი მუხლები;

გ) უნდა იყოს თანმიმდევრული პერიოდიდან პერიოდამდე, 45-ე პუნქტის შესაბამისად; და

დ) უფრო მეტად თვალსაჩინოდ არ უნდა იყოს გამოყოფილი იმ შუალედურ ჯამურ თანხებთან და ჯამურ თანხებთან შედარებით, რომელთა წარდგენაც ფასს სტანდარტებით მოითხოვება ანგარიშგებაში (ანგარიშგებებში), სადაც წარდგენილია მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავალი.

85ბ. საწარმომ ანგარიშგებაში (ანგარიშგებებში), სადაც წარდგენილია მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავალი, უნდა წარმოადგინოს ისეთი მუხლები, რომლებიც 85-ე პუნქტის შესაბამისად წარდგენილი შუალედური ჯამური თანხების შეჯერების საშუალებას იძლევა იმ შუალედურ ჯამურ თანხებთან ან ჯამურ თანხებთან, რომლებიც ამგვარ ანგარიშგებაში (ანგარიშგებებში) წარდგენილი უნდა იყოს ფასს სტანდარტების შესაბამისად.

86. ვინაიდან საწარმოს სხვადასხვა სახის საქმიანობის, სამეურნეო ოპერაციებისა და სხვა მოვლენების შედეგები განსხვავდება სტაბილურობით, შემოსავლების ან ზარალის მიღების პოტენციალითა და პროგნოზირების შესაძლებლობით, საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების

ელემენტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მომხმარებლებს ეხმარება მიღწეული ფინანსური შედეგების აღქმასა და მომავალი საქმიანობის ფინანსური შედეგების პროგნოზირებაში. ანგარიშგებაში (ანგარიშგებებში), სადაც წარდგენილია მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავალი, ზემოთ ჩამოთვლილი აუცილებელი მუხლების გარდა, შეიძლება დამატებითი მუხლებისა და ქვესათაურების გათვალისწინება და მუხლების წარდგენის თანამიმდევრობის შეცვლა, როდესაც ეს აუცილებელია საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების ელემენტების ასახსნელად. ამ დროს საწარმო ითვალისწინებს არსებითობის ფაქტორს, შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების შინაარსსა და ფუნქციებს. მაგალითად, საფინანსო დაწესებულებას შეუძლია ამ მუხლების ჩამონათვალის შეცვლა საფინანსო დაწესებულების ოპერაციების სპეციფიკის შესაბამისად. შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების გამოქვითვა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებულია 32-ე პუნქტში აღწერილი კრიტერიუმები.

**87. საწარმომ შემოსავლების ან ხარჯების მუხლები არ უნდა წარმოადგინოს განსაკუთრებული მუხლის სახით ანგარიშგებაში (ანგარიშგებებში), სადაც წარდგენილია მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავალი, არც განმარტებით შენიშვნებში.**

### საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი

**88. საწარმომ საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლებისა და ხარჯების ყველა მუხლი უნდა აღიაროს მოგებაში ან ზარალში, თუ რომელიმე სტანდარტით სხვა რამ არ მოითხოვება, ან ნებადართული არ არის.**

89. ზოგიერთ სტანდარტში ზუსტად არის განსაზღვრული გარემოებები, როდესაც საწარმო კონკრეტულ მუხლებს მიმდინარე პერიოდის მოგების ან ზარალის გარეთ აღიარებს. ბასს 8 ორ ასეთ გარემოებას განიხილავს: შეცდომების გასწორებასა და სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილების შედეგს. სხვა სტანდარტებით მოითხოვება ან ნებადართულია, რომ სხვა სრული შემოსავლის კომპონენტები, რომლებიც აკმაყოფილებს *კონცეპტუალურ საფუძვლებში* მოცემულ შემოსავლის ან ხარჯის განმარტებას, გამოიქვითოს მოგებიდან ან ზარალიდან. (იხ. მე-7 პუნქტი)

### საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი

**90. საწარმომ სხვა სრული შემოსავლის თითოეულ კომპონენტთან დაკავშირებული მოგების გადასახადი, მათ შორის რეკლასიფიკაციის კორექტირებები, უნდა აჩვენოს მოგება- ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ან განმარტებით შენიშვნებში.**

91. საწარმოს უფლება აქვს, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტები წარმოადგინოს:

ა) დაბეგვრის შედეგების გამოკლებით; ან

ბ) დაბეგვრამდელი მდგომარეობით და ერთი თანხით, რომელიც გვიჩვენებს ამ კომპონენტებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის აგრეგირებულ სიდიდეს.

თუ საწარმო ირჩევს (ბ) ვარიანტს, მან გადასახადი უნდა გაანაწილოს შემდეგ მუხლებზე: მუხლები, რომელთა რეკლასიფიკაციაც შემდგომში შესაძლებელია მოგების ან ზარალის განყოფილებაში და მუხლები, რომელთა რეკლასიფიკაცია შემდგომში არ მოხდება მოგების, ან ზარალის განყოფილებაში.

**92. საწარმომ უნდა აჩვენოს სხვა სრული შემოსავლის კომპონენტებთან დაკავშირებული რეკლასიფიკაციის კორექტირებები.**

93. სხვა სტანდარტები კონკრეტულად განსაზღვრავს, როდის შეიძლება შემოსავალში ადრე სხვა სრულ აღიარებული თანხების რეკლასიფიკაცია მოგებაში ან ზარალში. ამ ტიპის რეკლასიფიკაციას წინამდებარე სტანდარტში რეკლასიფიკაციის კორექტირებები ეწოდება. რეკლასიფიკაციის კორექტირების თანხა ჩაირთვება სხვა სრული შემოსავლის მუხლის შესაბამის კომპონენტში იმ პერიოდში, როდესაც კორექტირების თანხა რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში. ამ თანხების აღიარება არარეალიზებული შემოსულობის სახით სხვა სრულ შემოსავალში შესაძლებელია მიმდინარე ან წინა პერიოდებში. ეს არარეალიზებული შემოსულობა უნდა გამოიქვითოს სხვა სრული შემოსავლიდან იმ პერიოდში, როდესაც რეალიზებული შემოსულობა რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, რათა თავიდან იქნეს აცილებული სრული შემოსავლის მთლიან თანხაში მათი ორჯერ ასახვა.


© IFRS Foundation

94. რეკლასიფიკაციის კორექტირებების წარდგენა შეიძლება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ანგარიშგებებში), ან განმარტებით შენიშვნებში. საწარმომ, რომელიც განმარტებით შენიშვნებში წარადგენს რეკლასიფიკაციის კორექტირებებს, ასევე უნდა წარმოადგინოს სხვა სრული შემოსავლის კომპონენტები, მასთან დაკავშირებული რეკლასიფიკაციის კორექტირებების შეტანის შემდეგ.

95. რეკლასიფიკაციის კორექტირებები წარმოიშობა, მაგალითად, უცხოური ქვედანაყოფის გაყიდვის შემდეგ (იხ. ბასს 21) და როდესაც პროგნოზირებული ფულადი ნაკადის ჰეჯირება გავლენას ახდენს მოგებაზე ან ზარალზე (ფულადი ნაკადების ჰეჯირებასთან დაკავშირებით იხილეთ ფასს 9-ის 6.5.11(დ) პუნქტი).

96. რეკლასიფიკაციის კორექტირებები არ წარმოიშობა ბასს 16-ის ან ბასს 38-ის შესაბამისად აღიარებულ გადაფასების ნამეტში მომხდარი ცვლილებების შედეგად, ან ბასს 19-ის შესაბამისად დადგენილგადასახდელიან საპენსიო პროგრამასთან დაკავშირებით აღიარებული გადაფასებული თანხებიდან. ეს ელემენტები სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება და შემდგომ პერიოდებში არ ხდება მათი რეკლასიფიკაცია მოგებაში ან ზარალში. გადაფასების ნამეტში მომხდარი ცვლილებების გადატანა შემდგომ პერიოდებში შესაძლებელია გაუნაწილებელ მოგებაში, თუ აქტივი გამოიყენება, ან როდესაც შეწყდება მისი აღიარება (იხ. ბასს 16 და ბასს 38). ფასს 9-ის შესაბამისად, რეკლასიფიკაციის კორექტირებები არ წარმოიშობა ფულადი ნაკადების ჰეჯირების, ან ოფციონის დროითი ღირებულების (ან ფორვარდული ხელშეკრულების ფორვარდული ელემენტის, ან ფინანსური ინსტრუმენტების უცხოური ვალუტის საბაზისო სპრედის) აღრიცხვის შედეგად, რაც იწვევს ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვის ანგარიშიდან, ან საკუთარი კაპიტალის განცალკევებული კომპონენტიდან (შესაბამისად) თანხების პირდაპირ გადატანას აქტივის ან ვალდებულების საწყის თვითღირებულებაში, ან სხვა ტიპის საბალანსო ღირებულებაში. აღნიშნული თანხები პირდაპირ გადაიტანება აქტივებში ან ვალდებულებებში.

### ინფორმაცია, რომელიც აისახება მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ან განმარტებით შენიშვნებში

**97. როდესაც შემოსავლის ან ხარჯის მუხლი არსებითია, საწარმომ მათი შინაარსი და თანხა განცალკევებულად უნდა გაამჟღავნოს.**

98. გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს შემოსავლისა და ხარჯების მუხლების განცალკევებული ასახვა:

ა) მარაგის ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე, ან ძირითადი საშუალებების ჩამოფასება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ასევე ძირითადი საშუალებების ადრე ჩამოფასებული თანხების აღდგენა;

ბ) საწარმოს საქმიანობის რესტრუქტურიზაცია და რესტრუქტურიზაციის დანახარჯებისათვის შექმნილი ანარიცხების შემცირების შედეგები;

გ) ძირითადი საშუალებების გასვლა;

დ) ინვესტიციების გასვლა;

ე) შეწყვეტილი ოპერაციები;

ვ) სასამართლო დავების შედეგები;

ზ) სხვა ანარიცხების შემცირების შედეგები.

**99. საწარმომ მოგებაში ან ზარალში აღიარებული ხარჯების კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს მათი ეკონომიკური შინაარსის, ან საწარმოში მათი ფუნქციების მიხედვით. არჩევანი უნდა გაკეთდეს იმ მეთოდზე, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამის ინფორმაციას იძლევა.**

100. სასურველია, რომ საწარმოებმა 99-ე პუნქტში მითითებული ანალიზი წარმოადგინონ ანგარიშგებაში (ანგარიშგებებში), რომელშიც წარდგენილია მოგება და ზარალი და სხვა სრული შემოსავალი.

101. ხარჯები უნდა დაიყოს ქვეჯგუფებად, რათა ნათლად გამოიკვეთოს საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების ისეთი კომპონენტები, რომლებიც შესაძლოა ერთმანეთისაგან განსხვავდე-

ბოდეს სტაბილურობის, შემოსულობისა და ზარალის პოტენციალისა და პროგნოზირების შესაძლებლობების თვალსაზრისით. არსებობს ამ ინფორმაციის მიწოდების ორი გზა.

102. პირველი ტიპის სტრუქტურა მოიხსენიება, როგორც ხარჯების „ეკონომიკური შინაარსის“ მიხედვით დაჯგუფების მეთოდი. ხარჯები მოგების ან ზარალის ფარგლებში აგრეგირდება მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით (მაგალითად, ცვეთა, მასალების შეძენა, ტრანსპორტირების დანახარჯები, დასაქმებულთა გასამრჯელოები, სარეკლამო დანახარჯები) და არ ხდება მათი გადანაწილება ფუნქციების მიხედვით. ამ მეთოდის გამოყენება მოსახერხებელია იმდენად, რამდენადაც საჭირო არ არის მიმდინარე ხარჯების განაწილება ფუნქციონალური საკლასიფიკაციო ჯგუფების მიხედვით. ქვემოთ მოცემული კლასიფიკაცია ეყრდნობა ხარჯების დაჯგუფებას მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით:

| | | |
|---|---|---|
| ამონაგები | | X |
| სხვა შემოსავლები | | X |
| ცვლილებები მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი | | |
| წარმოების მარაგში | X | |
| გამოყენებული ნედლეული და მასალები | X | |
| დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი | X | |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი | X | |
| სხვა ხარჯები | X | |
| სულ ხარჯები | | (X) |
| მოგება დაბეგვრამდე | | X |

103. მეორე ტიპის სტრუქტურა ეხება „ხარჯების ფუნქციებს“ ანუ „მიმოქცევის (საბრუნავი) ხარჯების“ მეთოდს. ამ მეთოდის თანახმად, ხარჯების კლასიფიკაცია ხდება მათი ფუნქციების მიხედვით, როგორც გაყიდული პროდუქციის თვითღირებულების ნაწილი, ან, მაგალითად, როგორც კომერციული ან ადმინისტრაციული საქმიანობის ნაწილი. ამგვარი წარდგენით, საწარმო, როგორც მინიმუმი, გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებას გამოყოფს სხვა ხარჯებისაგან. ამ მეთოდით მომხმარებლებს უფრო შესაფერისი ინფორმაცია მიეწოდება, ვიდრე ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციის მეთოდით, მაგრამ ფუნქციების მიხედვით ხარჯების განაწილება შეიძლება სუბიექტურად ხდებოდეს და დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოითხოვდეს. ქვემოთ მოცემულია ხარჯების კლასიფიკაციის მაგალითი ფუნქციების მიხედვით:

| | |
|---|---|
| ამონაგები | X |
| გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება | (X) |
| საერთო მოგება | X |
| სხვა შემოსავლები | X |
| სადისტრიბუციო დანახარჯები | (X) |
| ადმინისტრაციული ხარჯები | (X) |
| სხვა ხარჯები | (X) |
| მოგება დაბეგვრამდე | X |

**104. საწარმომ, რომელიც ფუნქციების მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას იყენებს, უნდა გაამჟღავნოს დამატებითი ინფორმაცია ხარჯების ეკონომიკური შინაარსის შესახებ, მათ შორის აქტივების ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი და დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი.**

105. ხარჯების აღრიცხვის მეთოდებს შორის არჩევანი დამოკიდებულია ისტორიულ და სამრეწველო ფაქტორებსა და საწარმოს თავისებურებებზე. ორივე მეთოდი უზრუნველყოფს იმ ხარჯების დახასიათებას, რომელთა პირდაპირი ან არაპირდაპირი ცვალებადობაც მოსალოდნელია

 © IFRS Foundation

საწარმოს წარმოების ან რეალიზაციის დონის ცვლილებების შესაბამისად. ვინაიდან წარდგენის თითოეულ მეთოდს თავისებური ღირსება ახასიათებს სხვადასხვა ტიპის საწარმოთა პოზიციიდან, წინამდებარე სტანდარტი მოითხოვს, რომ დანახარჯების კლასიფიკაციის მეთოდის შერჩევა მოხდეს ინფორმაციის საიმედოობისა და შესაბამისობის კრიტერიუმების გათვალისწინებით. ამასთან, რადგან ინფორმაცია ხარჯების ეკონომიკური შინაარსის შესახებ სასარგებლოა ფულადი ნაკადების პროგნოზირებისათვის, საწარმოს, რომელიც ხარჯების კლასიფიკაციას ფუნქციების მიხედვით ახდენს, მოეთხოვება დამატებითი განმარტებები. 104-ე პუნქტში „დასაქმებულთა გასამრჯელოებს“ იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ბასს 19-ში.

## საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

### ინფორმაცია, რომელიც აისახება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში

**106. საწარმომ უნდა წარადგინოს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება, როგორც ეს მოითხოვება მე-10 პუნქტით. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:**

**ა) საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი, მშობელი საწარმოს მესაკუთრეებსა და არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი თანხების ცალკე გამოყოფით;**

**ბ) საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის, სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტულად გამოყენების ან თანხების რეტროსპექტულად გადაანგარიშების შედეგები, ბასს 8-ის შესაბამისად;**

გ) [გაუქმებულია]

**დ) საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის, წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს არსებული საბალანსო ღირებულებების შეჯერება, სადაც ცალ-ცალკე იქნება ნაჩვენები (სულ მცირე) ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია:**

**(i) მოგების ან ზარალის ცვლილებით;**

**(ii) სხვა სრული შემოსავლის ცვლილებით; და**

**(iii) მესაკუთრეებთან, როგორც აქციების მფლობელებთან განხორციელებული ოპერაციებით, სადაც ცალ-ცალკე იქნება ნაჩვენები მესაკუთრეების შენატანები და მესაკუთრეებზე განხორციელებული განაწილებები და შვილობილ საწარმოებში მისი საკუთრების წილების ცვლილებები, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას.**

### ინფორმაცია, რომელიც აისახება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში, ან განმარტებით შენიშვნებში

**106ა. საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის საწარმომ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში, ან განმარტებით შენიშვნებში უნდა წარმოადგინოს სხვა სრული შემოსავლის თანხის მუხლობრივი ანალიზი (იხ. 106 (დ) (ii) პუნქტი).**

**107. საწარმომ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში, ან განმარტებით შენიშვნებში უნდა აჩვენოს მესაკუთრეებზე განაწილებული დივიდენდების ოდენობა, რომელიც საანგარიშგებო პერიოდში აღიარებულია, როგორც მესაკუთრეებზე გაცემული განაწილება და ასევე ერთ აქციაზე დივიდენდის შესაბამისი ოდენობა.**

108. 106-ე პუნქტში საკუთარი კაპიტალის კომპონენტები მოიცავს, მაგალითად, საკუთარ კაპიტალში განხორციელებულ ნებისმიერი ტიპის შენატანს, სხვა სრული შემოსავლის თითოეული კატეგორიის აკუმულირებულ ნაშთს და გაუნაწილებელ მოგებას.

109. საანგარიშგებო პერიოდის დაწყებისა და დამთავრების თარიღებს შორის პერიოდში საწარმოს საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებები გვიჩვენებს საწარმოს წმინდა აქტივების ზრდას ან შემცირებას საანგარიშგებო პერიოდში. პერიოდის მანძილზე საწარმოს საკუთარ კაპიტალში მომხდარი ჯამური ცვლილება, გარდა იმისა, რომელიც გამოწვეულია მესაკუთრეებთან, როგორც აქციების მფლობელებთან განხორციელებული ოპერაციებითა (როგორიცაა, წილის შე-

ნატანები, საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა და დივიდენდების განაწილება) და უშუალოდ ამგვარ ოპერაციებთან დაკავშირებული საოპერაციო დანახარჯებით, გვიჩვენებს საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს საქმიანობიდან მიღებულ მთლიან შემოსავლებსა და ხარჯებს, მათ შორის, მიღებულ შემოსულობებსა და დანაკარგებს.

110. ბასს 8 მოითხოვს სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილების შედეგის რეტროსპექტულ კორექტირებას, შესაძლებლობის ფარგლებში, თუ სხვა ფასს სტანდარტის გარდამავალი დებულებებით სხვა რამ არ მოითხოვება. ბასს 8 ასევე მოითხოვს, რომ შეცდომების გასასწორებლად თანხების გადაანგარიშებაც რეტროსპექტულად განხორციელდეს, შესაძლებლობის ფარგლებში. რეტროსპექტული კორექტირება და რეტროსპექტული გადაანგარიშება საკუთარი კაპიტალის ცვლილებას არ წარმოადგენს, არამედ გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირებაა, თუ რომელიმე სხვა ფასს სტანდარტით არ მოითხოვება საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტის რეტროსპექტული კორექტირება. 106(ბ)-ე პუნქტი მოითხოვს, რომ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის ცალკე იყოს ნაჩვენები სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული მთლიანი კორექტირების თანხა და ცალკე - შეცდომების გასწორებით გამოწვეული. კორექტირებები ნაჩვენები უნდა იყოს თითოეული წინა პერიოდისთვის და საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის.

## ფულადი ნაკადების ანგარიშგება

111. ფულადი ნაკადების შესახებ ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, რომ შეაფასონ საწარმოს მიერ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამომუშავების უნარი და საწარმოს მოთხოვნილებები, ფულადი სახსრების გამოყენების შესახებ. ფულადი ნაკადების ანგარიშგების წარდგენისა და სათანადო განმარტებების მოთხოვნებს განსაზღვრავს ბასს 7.

## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

### სტრუქტურა

**112. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს:**

**ა) ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლისა და საწარმოს მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ, 117-124-ე პუნქტების შესაბამისად;**

**ბ) ფასს სტანდარტების მოთხოვნებით გათვალისწინებული განმარტებითი ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში სხვაგან ასახული არ არის; და**

**გ) დამატებითი ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში სხვაგან ასახული არ არის, მაგრამ აუცილებელია საწარმოს ფინანსური ანგარიშგების რომელიმე ელემენტის გასაგებად.**

**113. საწარმომ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები უნდა მოამზადოს შეძლებისდაგვარად სისტემატიზებული სახით. სისტემატიზების მეთოდის დადგენისას საწარმომ უნდა გაითვალისწინოს მისი გავლენა ფინანსური ანგარიშგების აღქმადობასა და შესადარისობაზე. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა და სრული შემოსავლის ანგარიშგების, განცალკევებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგების (თუ წარდგენილია), საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების თითოეული მუხლი, ურთიერთმითითების გამოყენებით უნდა იქნეს დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგებების განმარტებით შენიშვნებში ასახულ შესაბამის ინფორმაციასთან.**

114. ფინანსური ანგარიშგების შენიშვნების სისტემატიზებული წარდგენის ან დაჯგუფების მაგალითებია:

ა) საქმიანობის ისეთი სფეროების თვალსაჩინოდ წარმოდგენა, რომლებსაც საწარმო ყველაზე შესაფერისად მიიჩნევს მისი საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის გასაგებად, მაგალითად კონკრეტული საოპერაციო საქმიანობის შესახებ არსებული ინფორმაციის  ერთად დაჯგუფება;

ბ) ინფორმაციის ერთად დაჯგუფება ანალოგიური მეთოდით შეფასებული მუხლების შესახებ, როგორიცაა, მაგალითად სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები; ან

 © IFRS Foundation

გ) შენიშვნების წარდგენა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებასა (ანგარიშგებებსა) და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მუხლების წარდგენის თანამიმდევრობის შესაბამისად. ასე, მაგალითად:

(i) განცხადება იმის თაობაზე, რომ ანგარიშგება მომზადებულია ფასს სტანდარტების შესაბამისად; (იხ. პუნქტი 16)

(ii) არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ; (იხ. 117-ე პუნქტი)

(iii) დამხმარე (დამადასტურებელი) ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ანგარიშგებებში), ასევე საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებში წარდგენილი მუხლების განმარტებისთვის ისეთივე თანამიმდევრობით, როგორც წარდგენილია თითოეული ზემოაღნიშნული ანგარიშგება და მისი თითოეული მუხლი; და

სხვა გასამჟღავნებელი ინფორმაცია, მათ შორის:

(1) პირობითი ვალდებულებები (იხ. ბასს 37) და აუღიარებელი სახელშეკრულებო ვალდებულებები სამომავლო ოპერაციების მიხედვით; და

(2) არაფინანსური ინფორმაცია, მაგალითად, საწარმოს ფინანსური რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ. (იხ. ფასს 7)

115. [გაუქმებულია]

116. ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლის შესახებ და გამოყენებული ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა შესაძლოა წარდგენილი იყოს ფინანსური ანგარიშგების ცალკე განყოფილების სახით.

**ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ**

**117. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაცია (იხ. მე-7 პუნქტი). ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითად მიიჩნევა, თუ, საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ სხვა ინფორმაციასთან ერთად მისი განხილვისას, შეიძლება გონივრულად მოსალოდნელი იყოს, რომ ეს ინფორმაცია გავლენას მოახდენს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლების მიერ ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე.**

117ა. ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, რომელიც ეხება არაარსებით ოპერაციებს, სხვა მოვლენებს ან პირობებს, არსებითი არ არის და აუცილებელი არ არის მისი გამჟღავნება. მიუხედავად ამისა, ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ შეიძლება მაინც არსებითი იყოს შესაბამისი ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების სპეციფიკის გამო, თუნდაც თანხები არ იყოს არსებითი. ამასთან, თავისთავად არსებითი არ არის ყველანაირი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, რომელიც ეხება არსებით ოპერაციებს, სხვა მოვლენებს ან პირობებს.

117ბ. სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს მისი ცოდნა დასჭირდებოდათ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სხვა არსებითი ინფორმაციის გასაგებად. მაგალითად, საწარმო სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ამა თუ იმ ინფორმაციას, სავარაუდოდ, არსებითად მიიჩნევს თავისი ფინანსური ანგარიშგებისთვის, თუ ეს ინფორმაცია ეხება არსებით ოპერაციებს, სხვა მოვლენებს ან პირობებს და:

ა) საწარმომ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა და ამ ცვლილებამ ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის არსებითი ცვლილება გამოიწვია;

ბ) საწარმომ სააღრიცხვო პოლიტიკა აირჩია ფასს სტანდარტებით ნებადართული რამდენიმე ვარიანტიდან – ასეთი სიტუაცია შეიძლება იმ შემთხვევაში წარმოიშვას, როდესაც მაგალითად, საწარმო საინვესტიციო ქონების შეფასებას გადაწყვეტს თვითღირებულებით და არა სამართლიანი ღირებულებით;

გ) საწარმომ თვითონ შეიმუშავა სააღრიცხვო პოლიტიკა ბასს 8-ის შესაბამისად, რადგან არ არსებობდა ისეთი ფასს სტანდარტი, რომელიც უშუალოდ მოცემულ სიტუაციას შეესაბამებოდა;

დ) სააღრიცხვო პოლიტიკა ეხება ისეთ სფეროს, სადაც საწარმოს მნიშვნელოვანი განსჯა ან დაშვებების გამოყენება მოეთხოვება სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას და იგი განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციას ამჟღავნებს ამ განსჯისა და მიღებული გადაწყვეტილებების, ან გამოყენებული დაშვებების შესახებ 122-ე და 125-ე პუნქტების შესაბამისად; ან

ე) ამ არსებითი ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების აღრიცხვისთვის დადგენილი წესი რთულია და სხვა შემთხვევაში საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ამას ვერ გაიგებდნენ – ასეთი სიტუაცია შეიძლება იმ შემთხვევაში წარმოიშვას, როდესაც საწარმო ამა თუ იმ კატეგორიის არსებით ოპერაციებთან მიმართებით რამდენიმე ფასს სტანდარტს იყენებს.

117გ. თუ სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ეხება იმას, როგორ გამოიყენა საწარმომ ფასს სტანდარტების მოთხოვნები საკუთარ გარემოებებში, ამგვარი ინფორმაცია სპეციფიკურია ამ საწარმოსთვის და მისი ცოდნა გაცილებით უფრო სასარგებლოა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის, ვიდრე სტანდარტული ინფორმაციის ან ისეთი ინფორმაციის, რომელშიც უბრალოდ დუბლირებული ან შეჯამებულია ფასს სტანდარტების მოთხოვნები.

117დ. თუ საწარმო ამჟღავნებს არაარსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, მან უნდა უზრუნველყოს, რომ ამგვარმა ინფორმაციამ ბუნდოვანი არ გახადოს და დაჩრდილოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გამჟღავნებული არსებითი ინფორმაცია.

117ე. საწარმოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია არ არის არსებითი, გავლენას არ ახდენს შესაბამისი ინფორმაციის გამჟღავნებაზე სხვა ფასს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

118-121 [გაუქმებულია]

**122. საწარმომ სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციის მიმოხილვასთან ერთად, ან სხვა განმარტებით შენიშვნებში, სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გარდა (იხ. პუნქტი 125), უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც ხელმძღვანელობამ მიიღო სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში და ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე.**

123. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, ხელმძღვანელობას უხდება სხვადასხვა საკითხის განსჯა, იმის გარდა, რაც დაკავშირებულია სააღრიცხვო შეფასებებთან. ამან შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე. მაგალითად, ხელმძღვანელობა მიმართავს მსჯელობას, რათა დაადგინოს:

ა) [გაუქმებულია]

ბ) როდის ხდება საწარმოს ფინანსური აქტივებისა და, მეიჯარეების შემთხვევაში, საიჯარო აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და სარგებლის გადაცემა სხვა საწარმოებზე;

გ) საქონლის გაყიდვის რომელიმე ოპერაცია, თავისი შინაარსით, წარმოადგენს თუ არა დაფინანსებას და, მაშასადამე, არ წარმოქმნის ამონაგებს; და

დ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს თუ არა ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას.

124. 122-ე პუნქტით გათვალისწინებული ზოგიერთი ინფორმაციის განმარტებას სხვა სტანდარტები მოითხოვს. მაგალითად, ფასს 12 – „*განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ*“ - მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებული განხილვის აღწერას, რის საფუძველზეც საწარმომ დაადგინა, აკონტროლებს თუ არა სხვა საწარმოს. როდესაც ქონების კლასიფიცირება რთული გასაკეთებელია, ბასს 40 - „*საინვესტიციო ქონება*“ - მოითხოვს საწარმოს მიერ დამუშავებული კრიტერიუმების განმარტებას, რომელთა საშუალებითაც მან გა-


© IFRS Foundation

ნასხვავა საინვესტიციო ქონება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონებისა და საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში გასაყიდად გამიზნული ქონებისგან.

## განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

125. **საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია, მომავალთან დაკავშირებით გამოყენებული ძირითადი დაშვებებისა და აგრეთვე განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული სხვა ძირითადი წყაროების შესახებ საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღისათვის, რომელთა გამოც არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების რისკი მომავალ საფინანსო წელს. ამ აქტივებთან და ვალდებულებებთან მიმართებით, განმარტებითი შენიშვნები უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას:**

ა) **მათი ბუნების შესახებ; და**

ბ) **მათი საბალანსო ღირებულების შესახებ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.**

126. ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულების საბალანსო ღირებულების განსაზღვრა მოითხოვს საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღისათვის ამ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული მომავალი განუსაზღვრელი მოვლენების შედეგების შეფასებას. მაგალითად, როდესაც არ არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ბოლო დროს გამოკვლეული საბაზრო ფასი, საჭიროა მომავლის შეფასება, რათა დადგინდეს ძირითადი საშუალებების ჯგუფების ანაზღაურებადი ღირებულება, ტექნოლოგიური მოძველების გავლენა მარაგზე, სასამართლო დავების შედეგად მოსალოდნელი ხარჯების ანარიცხები, დასაქმებულთა გასამრჯელოებთან დაკავშირებით წარმოშობილი გრძელვადიანი ვალდებულებები, როგორიცაა, მაგალითად, საპენსიო ვალდებულებები. ამგვარი შეფასებები ეყრდნობა ისეთ დაშვებებს, როგორიცაა ფულად ნაკადებთან და დისკონტირების განაკვეთებთან დაკავშირებული რისკის კორექტირება, ხელფასებისა და  ფასების ცვლილება მომავალში, რაც გავლენას ახდენს სხვა დანახარჯებზე.

127. ინფორმაციის მომზადება 125-ე პუნქტის შესაბამისად ძირითადი დაშვებებისა და განუსაზღვრელობის შეფასების სხვა ძირითადი წყაროების შესახებ, ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს ძალიან რთულ, სუბიექტურ ან კომპლექსურ განსჯას. იმ ცვლადებისა და დაშვებების რაოდენობის ზრდასთან ერთად, რომლებიც გავლენას ახდენს მომავლის განუსაზღვრელობებზე, აღნიშნული განსჯაც უფრო სუბიექტური და რთული ხდება და, შესაბამისად, იზრდება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების საჭიროების პოტენციური შესაძლებლობა.

128. 125-ე პუნქტის განმარტებები არ მოითხოვება იმ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებიც ექვემდებარება მნიშვნელოვან რისკს იმისა, რომ მათი საბალანსო ღირებულება შესაძლოა არსებითად შეიცვალოს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, თუ ისინი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით იდენტური აქტივის, ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებულ ფასზე დაყრდნობით. ამგვარი სამართლიანი ღირებულება შესაძლოა არსებითად შეიცვალოს მომდევნო ფინანსურ წელს, მაგრამ ეს ცვლილება არ წარმოიშობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაკეთებული დაშვებებიდან, ან განუსაზღვრელობის შეფასების სხვა წყაროებიდან.

129. საწარმო 125-ე პუნქტით გათვალისწინებულ განმარტებებს წარმოადგენს იმგვარი სახით, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს დაეხმაროს, ხელმძღვანელობის მიერ მომავლის შესახებ განხორციელებული განსჯისა და განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული სხვა წყაროების გაგებაში. განმარტებით შენიშვნებში გადმოცემული ინფორმაციის მოცულობა და ხასიათი განსხვავებული იქნება დაშვების ხასიათისა და სხვა გარემოებების მიხედვით. ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული განმარტებების ტიპური მაგალითებია:

ა) დაშვების ხასიათი ან განუსაზღვრელობის შეფასების ხასიათი;

ბ) საბალანსო ღირებულებების მგრძნობელობა მათი გამოთვლის მეთოდებთან, დაშვებებთან და შეფასებებთან, მათ შორის ამ მგრძნობელობის გამომწვევი მიზეზები;

გ) განუსაზღვრელობის მოსალოდნელი გადაწყვეტა და მომდევნო ფინანსურ წელს მისი სავარაუდო შედეგები იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან მიმართებით, რომელზედაც ამ განუსაზღვრელობებმა  იქონიეს გავლენა; და

დ) აქტივებსა და ვალდებულებებთან მიმართებით უწინ გაკეთებულ დაშვებებში შეტანილი ცვლილებების განმარტება იმ შემთხვევაში, თუ განუსაზღვრელობა ისევ არსებობს.

130. წინამდებარე სტანდარტი საწარმოს არ ავალდებულებს საბიუჯეტო ან საპროგნოზო ინფორმაციის განმარტებას, 125-ე პუნქტით გათვალისწინებული განმარტებების ფარგლებში.

131. ზოგჯერ საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებისას შეუძლებელია რომელიმე დაშვების ან განუსაზღვრელობის შეფასების სხვა წყაროს შესაძლო შედეგების განმარტება. ამ შემთხვევაში საწარმო მიუთითებს, რომ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სავსებით შესაძლოა, მომავალ ფინანსურ წელს მიღებული შედეგები განსხვავებული იყოს გაკეთებული დაშვებისაგან, რის გამოც შეიძლება საჭირო გახდეს შესაბამისი აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირება. ყველა შემთხვევაში, საწარმო ამჟღავნებს ინფორმაციას იმ კონკრეტული აქტივის ან ვალდებულების (ან აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის) ხასიათისა და საბალანსო ღირებულების შესახებ, რომლებზეც გავლენა მოახდინა გაკეთებულმა დაშვებამ.

132. 122-ე პუნქტით გათვალისწინებული განმარტებები, რომლებიც ეხება ხელმძღვანელობის მიერ საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებებს, დაკავშირებული არ არის 125-ე პუნქტით გათვალისწინებულ განმარტებებთან, განუსაზღვრელობის შეფასების წყაროების შესახებ.

133. ზოგიერთი დაშვების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც სხვა შემთხვევაში საჭირო იქნებოდა 125-ე პუნქტის შესაბამისად, სხვა ფასს სტანდარტებით მოითხოვება. მაგალითად, ზოგიერთ გარემოებაში, ბასს 37 მოითხოვს იმ ძირითადი დაშვებების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომლებიც შეეხება მომავალი მოვლენების ზემოქმედებას ანარიცხების კატეგორიებზე. ფასს 13 - „*სამართლიანი ღირებულების შეფასება*“ - მოითხოვს ინფორმაციის გამჟღავნებას სამართლიანი ღირებულებით ასახული აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებების შესახებ (მათ შორის, შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდ(ებ)ისა და ამოსავალი ინფორმაციის შესახებ.).

## კაპიტალი

**134. საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელმა შეძლოს კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული საწარმოს მიზნების, პოლიტიკისა და პროცედურების შეფასება.**

135. 134-ე პუნქტის მოთხოვნების შესასრულებლად, საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს:

ა) ხარისხობრივი ინფორმაცია კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული თავისი მიზნების, პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ, მათ შორის:

(i) დახასიათება იმისა, რას მართავს საწარმო, როგორც კაპიტალს;

(ii) როდესაც საწარმო კაპიტალის შესახებ გარე სავალდებულო მოთხოვნებს ექვემდებარება, ამ მოთხოვნების შინაარსი და როგორ უკავშირდება ისინი კაპიტალის მართვას; და

(iii) როგორ არის შესრულებული საწარმოს მიზნები კაპიტალის მართვის შესახებ.

ბ) მოკლედ რაოდენობრივი მონაცემები იმის შესახებ, რასაც ის მართავს როგორც კაპიტალს. ზოგიერთი საწარმო კაპიტალის ნაწილად განიხილავს ზოგიერთი სახის ფინანსურ ვალდებულებას (მაგ., გარკვეული ფორმის სუბორდინირებულ ვალს). სხვები კაპიტალად მიიჩნევენ საკუთარ კაპიტალს ზოგიერთი კომპონენტის (მაგ., კომპონენტები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი ნაკადების ჰეჯირებიდან) გარეშე;

გ) წინა პერიოდის შემდეგ (ა) და (ბ) პუნქტებში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება;

დ) შეასრულა თუ არა მან საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კაპიტალის შესახებ გარე სავალდებულო მოთხოვნა;

ე) თუ საწარმომ არ შეასრულა კაპიტალის შესახებ ამგვარი გარე სავალდებულო მოთხოვნები, მაშინ ამ დარღვევების შედეგები.

 © IFRS Foundation

ამგვარი განმარტებები უნდა ეყრდნობოდეს ინფორმაციას, რომელიც მომზადდა საწარმოში, საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისათვის.

136. საწარმოს კაპიტალის მართვა სხვადასხვა გზით შეუძლია. ასევე შესაძლებელია, რომ საწარმო კაპიტალის შესახებ სხვადასხვანაირ მოთხოვნებს ექვემდებარებოდეს. მაგალითად, გაერთიანება შეიძლება მოიცავდეს ისეთ საწარმოებს, რომლებიც სადაზღვევო და საბანკო საქმიანობას ეწევიან და ამავე დროს ისინი შეიძლება სხვადასხვა იურისდიქციაში ფუნქციონირებდნენ. როდესაც აგრეგირებული განმარტებები კაპიტალთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და კაპიტალის მართვის მეთოდების შესახებ სასარგებლო ინფორმაციას არ იძლევა, ან ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს ხელს უშლის საწარმოს კაპიტალის რესურსების შესახებ ნათელი წარმოდგენის შექმნაში, საწარმომ ცალ-ცალკე უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია კაპიტალთან დაკავშირებული თითოეული სავალდებულო მოთხოვნის შესახებ.

### წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირებული დაბრუნებადი ფინანსური ინსტრუმენტები

136ა. წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირებული დაბრუნებადი ფინანსური ინსტრუმენტებისათვის საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია (იმ ფარგლებში, რაც სხვაგან არ არის მოცემული):

ა) მოკლე რაოდენობრივი მონაცემები წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირებული თანხის ირგვლივ;

ბ) საწარმოს მიზნები, პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება ამ ინსტრუმენტების გამოსყიდვის ვალდებულების მართვას, როდესაც ამის გაკეთებას ითხოვენ ინსტრუმენტების მფლობელები, მათ შორის წინა პერიოდის შემდეგ ამ მიზნებში, პოლიტიკასა და პროცედურებში მომხდარი ცვლილებები;

გ) მოცემული კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტების გამოსასყიდად საწარმოს მიერ გასაცემი მოსალოდნელი ფულადი სახსრების ოდენობა; და

დ) ინფორმაცია იმის შესახებ, როგორ განისაზღვრა ამ ინსტრუმენტების გამოსასყიდად საჭირო სავარაუდო ფულადი სახსრების ოდენობა.

### სხვა განმარტებები

137. საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს:

ა) ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ხელმოწერამდე შეთავაზებული ან გამოცხადებული დივიდენდების ოდენობა, რომელიც საანგარიშგებო პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული როგორც მესაკუთრეებზე განაწილებული თანხები და შესაბამისი შემოსავალი ერთ აქციაზე; და

ბ) ყველა აუღიარებელი კუმულაციური პრივილეგირებული დივიდენდის ოდენობა.

138. თუ ფინანსური ანგარიშგების რომელიმე ნაწილში ასახული არ არის, საწარმომ უნდა აღწეროს შემდეგი ინფორმაცია:

ა) საწარმოს ადგილმდებარეობა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ქვეყანა, სადაც რეგისტრირებულია საწარმო და რეგისტრირებული ოფისის მისამართი (ან საქმიანობის ძირითადი ადგილი, თუ იგი განსხვავდება რეგისტრირებული ოფისის მისამართისაგან);

ბ) საწარმოს ოპერაციების შინაარსი და ძირითადი საქმიანობები;

გ) მისი მშობელი საწარმოსა და საწარმოთა ჯგუფის მშობელი საწარმოს დასახელება; და

დ) თუ შეზღუდულია საწარმოს საქმიანობის ხანგრძლივობა, ინფორმაცია მისი ხანგრძლივობის შესახებ.

## სტანდარტზე გადასვლა და ძალაში შესვლის თარიღი

139. საწარმომ წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ სტანდარტს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

139ა. ბასს 27-მა (შესწორებული 2008 წელს) განაპირობა 106-ე პუნქტის შეცვლა. საწარმომ ეს ცვლილება უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 ივლისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდები-

სათვის. თუ საწარმო ბასს 27-ს (შეცვლილი 2008 წელს) უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, ამავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებაც რეტროსპექტულად.

139ზ. 2008 წლის თებერვალში გამოცემულმა დოკუმენტმა - *„დაბრუნებადი ფინანსური ინსტრუმენტები და ლიკვიდაციასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულებები“* (ბასს 32-ისა და ბასს 1-ის შესწორებები) გამოიწვია 138-ე პუნქტის შეცვლა და 8(ა), 80(ა) და 136(ა) პუნქტების დამატება. საწარმომ აღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს 2009 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში და იმავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ბასს 32-ში, ბასს 39-ში, ფასს 7-სა და ფასიკ 2-ში - *„კოოპერაციული საწარმოების წევრების წილები და სხვა მსგავსი ინსტრუმენტები“* - შეტანილი ცვლილებებიც.

139გ. 68-ე და 71-ე პუნქტები შეიცვალა 2008 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - *ფასს სტანდარტების გაუმჯობესება* - შედეგად. საწარმომ აღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს 2009 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

139დ. 2009 წლის აპრილში გამოცემულმა დოკუმენტმა - *„ფასს სტანდარტების გაუმჯობესება“* - განაპირობა 69-ე პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2010 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. თუ საწარმო ამ ცვლილებებს 2010 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება.

139ე. [გაუქმებულია]

139ვ. 2010 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - *„ფასს სტანდარტების გაუმჯობესება“* - შედეგად შეიცვალა 106-ე და 107-ე პუნქტები და დაემატა 106ა პუნქტი. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2011 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება.

139ზ. [გაუქმებულია]

139თ. 2011 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 10-მა და ფასს 12-მა გამოიწვია მე-4, 119-ე, 123-ე და 124-ე პუნქტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 10-სა და ფასს 12-ს.

139ი. 2011 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 13-მა გამოიწვია 128-ე და 133-ე პუნქტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 13-ს.

139კ. 2011 წლის ივნისში გამოცემულმა დოკუმენტმა - *„სხვა სრული შემოსავლის მუხლების წარდგენა“* (ბასს 1-ის შესწორებები ) - გამოიწვია მე-7, მე-10, 82-ე, 85-87-ე, 90-ე, 91-ე, 94-ე, მე-100 და 115-ე პუნქტების შეცვლა, ასევე 10ა, 81ა, 81ბ და 82ა პუნქტების დამატება და მე-12, 81-ე, 83-ე და 84-ე პუნქტების გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2012 წლის 1 ივლისს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს 2012 წლის 1 ივლისამდე დაწყებული პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

139ლ. ბასს 19-მა - *„დასაქმებულთა გასამრჯელოები“* (2011 წლის ივნისის შეცვლილი ვერსია) - გამოიწვია მე-7 პუნქტში მოცემული ტერმინის „სხვა სრული შემოსავალი“ და 96-ე პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ბასს 19-ის 2011 წლის ივნისის შეცვლილ ვერსიას.

139მ. 2012 წლის მაისში გამოცემულმა დოკუმენტმა - *„ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2009-2011 წლების ციკლი“* - გამოიწვია მე-10, 38-ე და 41-ე პუნქტების შეცვლა, 39-40-


© IFRS Foundation

ე პუნქტების გაუქმება და 38ა-38დ და 40ა-40დ პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს რეტროსპექტულად ბასს 8-ის - *„სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“* - შესაბამისად, 2013 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

139ნ. [გაუქმებულია]

139ო. 2014 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 15-მა – *„ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“* - გამოიწვია 34-ე პუნქტის შეცვლა. საწარმომ ეს ცვლილება იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 15-ს.

139პ. 2014 წლის ივლისში გამოცემულმა ფასს 9-მ გამოიწვია მე-7, 68-ე, 71-ე, 82-ე, 93-ე, 95-ე, 96-ე, 106-ე და 123-ე პუნქტების შეცვლა და 139ე, 139ზ და 139ნ პუნქტების გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 9-ს.

139ჟ. 2014 წლის დეკემბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - *„ინიციატივა ინფორმაციის გამჟღავნების სფეროში“* (ბასს 1-ის შესწორებები) - გამოიწვია მე-10, 31-ე, 54–55-ე, 82ა, 85-ე, 113–114-ე, 117-ე, 119-ა და 122-ე პუნქტების შეცვლა, 30ა, 55ა და 85ა-85ბ პუნქტების დამატება და 115-ე და 120-ე პუნქტების გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. საწარმოს ზემოაღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით არ ევალება ბასს 8-ის 28-30-ე პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად ინფორმაციის გამჟღავნება.

139რ. 2016 წლის იანვარში გამოცემულმა ფასს 16-მა - *„იჯარა“* - გამოიწვია 123-ე პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 16-ს.

139ს. 2017 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 17-მა – *„სადაზღვევო ხელშეკრულებები“* – გამოიწვია მე-7, 54-ე და 82-ე პუნქტების შეცვლა. 2020 წლის ივნისში გამოცემული დოკუმენტის – *„ფასს 17-ის შესწორებები“* – შედეგად ისევ შეიცვალა 54-ე პუნქტი. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 17-ს.

139ტ. 2018 წელს გამოცემულმა დოკუმენტმა - *„შესწორებები ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების მითითებასთან დაკავშირებით“* - გამოიწვია მე-7, მე-15, მე-19–20, 23–24-ე, 28-ე და 89-ე პუნქტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, თუ საწარმო იმავდროულად გამოიყენებს ყველა სხვა ცვლილებას, რომელიც განაპირობა დოკუმენტმა - *„შესწორებები ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების მითითებასთან დაკავშირებით“*. საწარმომ ბასს 1-ში შეტანილი ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს რეტროსპექტულად ბასს 8-ის - *„სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“* - შესაბამისად. თუმცა, თუ საწარმო დაადგენს, რომ შეუძლებელია, ან მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა დასჭირდება ამ ცვლილების რეტროსპექტულად გამოყენებას, მაშინ მან ბასს 1-ში შესული ცვლილებები უნდა გამოიყენოს ბასს 8-ის 23-28-ე, 50-53-ე და 54ვ პუნქტების შესაბამისად.

139უ. 2018 წლის ოქტომბერში გამოცემულმა დოკუმენტმა – *ტერმინის „არსებითი“ განმარტება* – (ბასს 1-ისა და ბასს 8-ის შესწორებები) გამოიწვია ბასს 1-ის მე-7 პუნქტისა და ბასს 8-ის მე-5 პუნქტის შეცვლა, ასევე ბასს 8-ის მე-6 პუნქტის გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები პერსპექტიულად უნდა გამოიყენოს 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

139ფ. *[ეს პუნქტი ისეთ ცვლილებებს ეხება, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და ამიტომ გათვალისწინებული არ არის ამ გამოცემაში.]*

139ქ. 2021 წლის თებერვალში გამოცემულმა დოკუმენტმა – *„ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ“* – გამოიწვია მე-7, მე-10, 114-ე, 117-ე და 122-ე პუნქტების შეცვლა,

117ა–117ე პუნქტების დამატება და 118-ე, 119-ე, 120-ე და 121-ე პუნქტების გაუქმება. გარდა ამისა, ამ დოკუმენტმა გამოიწვია ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის – *„არსებითობის განსჯა“* – შეცვლაც. საწარმომ ბასს 1-ში შესული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2023 წლის 1 იანვარს, ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს ამ ცვლილებებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

130ღ. *[ეს პუნქტი ისეთ ცვლილებებს ეხება, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და ამიტომ გათვალისწინებული არ არის ამ გამოცემაში.]*

## ბასს 1-ის (გადასინჯული 2003 წელს) გაუქმება

140. წინამდებარე სტანდარტი ცვლის ბასს 1-ის - *„ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“* - 2003 წლის გადასინჯულ ვერსიას, რომელშიც გათვალისწინებულია 2005 წლის შესწორებები.


© IFRS Foundation